ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

პარასკევი, 17 მაისი, 2013 | №115 (6116) | ფასი: 30 თეთრი

14 მაისიდან!
„ახალი თაობა“
+
ილია II
ოქროს ხანა სამტრიალეულის მეორე ტომი
8 ლარი

სუბარი ციხეებს ვერ აკონტროლებს?!

გვ.4

ვლადიმერ ტაბაღუა: „პატიმრებმა აიმვეს“

დავით უსუფაშვილი პატრიარქის ინიციატივის წინააღმდეგ გამოვიდა

გვ.3

მისიის დაწყებიდან დღემდე ავღანეთში 22 ქართველი ჯარისკაცი დაიღუპა

— გვ. 2 —

ჯონდი ბაღათურია: „ივანიშვილმა არ იცის, საით მიდის ქვეყანა“

ქვეყნის ეკონომიკას ჩრდილოვანი მთავრობა მართავს

გვ.2

„ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება აუცილებელია“

გვ.3

თბილისში 12 ათასი აცრაგამოტოვებული ბავშვი გვყავდა

გვ. 5

„ინფო 9“-ის ოფისში ხანძრის გაჩენის ბრალდებით ერთი პირი დააკავეს

INFO 9

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს მე-5 განყოფილების თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად, საინფორმაციო სააგენტო „ინფო 9“-ის ოფისში ხანძრის გაჩენის ბრალდებით, ამავე სააგენტოს ყოფილი თანამშრომელი, 1990 წელს დაბადებული ზაალ ფ. დააკავეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ ნასვამ მდგომარეობაში მყოფი ბრალდებული ფარულად შევიდა „ინფო 9“-ის ოფისის სააპარატურო ოთახში და შურისძიების მიზნით, ვიდეოკამერების შესანახ ჩანთებს ცეცხლი წაუკიდა. შემდეგ ფარულად დაეუფლა ერთ-ერთ ვიდეოკამერას და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა ზაალ ფ. დანაშაულის ჩადენიდან რამდენიმე საათში დააკავეს. მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას „ინფო 9“-ის კუთნილი, მოპარული კამერა ნივთმტკიცებად ამოიღეს. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

ნიუსპრესი

9 მაისიდან!
„ახალი თაობა“
+
ფროიდი
8 ლარი



ISSN 1987-9385

8 ავღანეთში დაღუპულ ქართველებს ნატოს წარმომადგენლებმაც მიაგეს პატივი

4 ეკა ბესელია: „საჭიროა თუ არა ავღანეთში ჯარისკაცების ეს რაოდენობა“

5 გურამ ჩახვაძე: „უცხოელი ბიზნესმენები საქართველოში ჩამოსვლისგან თავს იკავებენ“

4 „გელა ხვედელიძის გირაოთი გათავისუფლება სამართლიანი იყო“

მისიის დაწყებიდან დღემდე ავღანეთში 22 ქართველი ჯარისკაცი დაიღუპა

მისიის დაწყებიდან დღემდე ავღანეთში 22 ქართველი ჯარისკაცი დაიღუპა. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ავღანეთში დაღუპული ქართველი სამხედროების შესახებ ოფიციალურ ინფორმაციას აქვეყნებს:

უფროსი ლეიტენანტი მუხრან შუკვანი (31.01.1982 - 05.09.2010) - მესამე ქვეითი ბრიგადის 31-ე მსუბუქი ქვეითი ბატალიონის ასმეთაური.

პოლკოვნიკი რამაზ გოგიაშვილი (15.01.1967 - 30.09.2010) - მესამე ქვეითი ბრიგადის 31-ე მსუბუქი ქვეითი ბატალიონის ასეულის ოფიცერი.

სერჟანტი დავით ცეცხლაძე (07.09.1975 - 30.09.2010) - მესამე ქვეითი ბრიგადის 31-ე მსუბუქი ქვეითი ბატალიონის ჯარისკაცი. კაპრალი ნუგზარ კალანდაძე (27.07.1989 - 30.09.2010) - მესამე ქვეითი ბრიგადის 31-ე მსუბუქი ქვეითი ბატალიონის ასეულის ჯარისკაცი. კაპრალი ნუგზარ კოლხიტაშვილი (03.03.1989 - 30.09.2010) - მესამე ქვეითი ბრიგადის 31-ე მსუბუქი ქვეითი ბატალიონის ჯარისკაცი. კაპრალი გიორგი ავალიანი (04.04.1981 - 21.02.2011) - მესამე ქვეითი ბრიგადის 32-ე ბატალიონის ასეულის ჯარისკაცი.

კაპრალი ვალერი ვერსკიანი (13.11.1979 - 15.03.2011) - მესამე ქვეითი ბრიგადის 32-ე ბატალიონის ასეულის ჯარისკაცი. უმცროსი სერჟანტი ლავროსი ივანიაძე (08.12.1985 - 24.05.2011) - მესამე ქვეითი ბრიგადის 33-ე ბატალიონის ასეულის ჯარისკაცი. რიგითი გია გოგუაძე (04.10.1990 - 18.06.2011) - მესამე ქვეითი ბრიგადის 33-ე ბატალიონის ჯარისკაცი. სერჟანტი რეზო ბერიძე (16.10.1979 - 28.08.2011) - მესამე ქვეითი ბრიგადის 33-ე ბატალიონის ჯარისკაცი. კაპრალი ბესიკ ნინიაშვილი (02.10.1988 – 30.12.2011) - მესამე ქვეითი ბრიგადის 31-ე ბატალიონის ჯარისკაცი. უმცროსი სერჟანტი შალვა ფაიღოძე (02.10.1988 – 06.01.2012) - მესამე ქვეითი ბრიგადის 31-ე ბატალიონის ჯარისკაცი. კაპრალი ვალიკო ბერაია (17.06.1987 – 21.02.2012) - მესამე ქვეითი ბრიგადის 31-ე ბატალიონის ჯარისკაცი. კაპრალი რუსლან მელაძე (20.09.1991 – 21.02.2012) - მესამე ქვეითი ბრიგადის 31-ე ბატალიონის ჯარისკაცი. კაპრალი პაატა კაჭარავა (29.07.1975 - 21.02.2012) - მესამე ქვეითი ბრიგადის 31-ე ბატალიონის ჯარისკაცი. სერჟანტი ვალერიან ხუჯაძე (19.08.1976 - 24.04.2012) - მესამე ქვეითი ბრიგადის 31-ე ბატალიონის ჯარისკაცი. კაპრალი გივი ფანცულაია (29.08.1984 – 26.07.2012) - მე-3 ქვეითი ბრიგადის 31-ე ბატალიონი. კაპრალი მინდია აბაშიძე (27.10.1989 - 10.10.2012) - მე-3 ქვეითი ბრიგადის 32-ე მსუბუქი ბატალიონი.

სერჟანტი გიორგი კიკაძე (16.01.1988 - 29.12.2012) - მეორე ქვეითი ბრიგადის საარტილერიო ბატალიონი. კაპრალი ალექსანდრე კვიწინაძე (17.12.1986 – 13.05.2013) - მეოთხე ქვეითი ბრიგადის 42-ე მსუბუქი ქვეითი ბატალიონი. უმცროსი სერჟანტი ზვიად დავითაძე (22.11.1979 – 13.05.2013) - მეოთხე ქვეითი ბრიგადის 42-ე მსუბუქი ქვეითი ბატალიონი. კაპრალი ვლადიმერ შანავა (01.04.1989 – 13.05.2013) - მეოთხე ქვეითი ბრიგადის 42-ე მსუბუქი ქვეითი ბატალიონი.

პირველი

ჯონდი ბაღათურია: „ივანიშვილმა არ იცის, საით მიდის ქვეყანა“

ქვეყნის ეკონომიკას ჩრდილოვანი მთავრობა მართავს

ნონა ცაბაძე

ინტერვიუ ქართული დასის ლიდერ ჯონდი ბაღათურიასთან

— ბატონო ჯონდი, მოდით შევაფასოთ ბოლო პერიოდის პოლიტიკური პროცესები. ჩვენ ხშირად ვისმენთ პრემიერის განცხადებებს, შეხვედრებზე თუ პრესკონფერენციებზე და ის ყოველთვის კმაყოფილია მთავრობის მუშაობით. საინტერესოა, რამდენად კმაყოფილია საზოგადოება, ამომრჩეველი, გაამართლეს მათი იმედები?

— პრემიერ-მინისტრს ნარმოდგენა არა აქვს, რა ხდება ქვეყანაში. როგორც ჩანს, ის სრულ იზოლაციაშია. ამას ამტკიცებს ივანიშვილის განცხადება შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის დაჭერამდე ერთი დღით ადრე გაკეთებული, რომელიც მან „გურია ნიუსთან“ საუბრისას გააკეთა, სადაც ის ამტკიცებდა, რომ გამორიცხულია, რომ ეს ხვედელიძის გაკეთებული ყოფილიყო. თქვენ წარმოიდგინეთ რამდენად დიდია მისი არაინფორმირებულობა, რომ პრემიერ-მინისტრმა წინა დღეს არ იცის, რომ მეორე დღეს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე უნდა დაიჭირონ ერთ-ერთი უმძიმესი ბრალდებით. სხვათა შორის, მე ვუსმენდი მას და მჯერა, რომ არ იტყუებოდა და მართლა არ იცოდა იმის შესახებ, რაც ხდებოდა. ეს გაცილებით უფრო სახიფათოა, ვიდრე, როცა რაღაცა იცის და არ აკეთებს ან ვერ აკეთებს. ჩვენ ვხედავთ, რომ ადამიანი, ვინც რეალურად უნდა მართავდეს ქვეყანას და იღებდეს გადაწყვეტილებებს, ის საქმის კურსში არ არის ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებზე. აქედან გამომდინარე ის ყოველთვის კმაყოფილია და ამბობს, რომ წინსვლა გვაქვს სოციალურ სფეროში, ეკონომიკაში, სოფლის მეურნეობაში და ასე შემდეგ. არაფერი წინსვლა არ გვაქვს, პირიქით, რეგრესი გვაქვს. სრული სტაგნაციაა, სამუშაო ადგილები არ იქმნება, პირიქით, ძალიან ბევრი სამუშაო ადგილი დაიხურა, მონოპოლისტური ფასები შენარჩუნებულია, კვების პროდუქტებზე ფასები გაიზარდა და ხალხს კიდევ უფრო გაუჭირდა. ვიმეორებ, ვხედავ, რომ პრემიერ-მინისტრმა არ იცის საით მიდის ქვეყანა და ვერც ხალხს ვერ აგებინებს, იმიტომ, რომ თვითონ არ იცის. გაიარეთ ქუჩაში, ჰკითხეთ ხალხს, საით მიდის ქვეყანა თუ ვინმემ რაიმე იცის. მე ვერ მივხვდი და არ გამიკვირდება, რომ სოფლის გლეხი ვერ ხვდებოდეს, რა ელოდება ხვალ.

— პრემიერი თავს არიდებს ამ პრობლემებს თუ რეალურად არ არის ის საქმის კურსში?

— მე მაქვს შთაბეჭდილება, რომ ის არის იზოლაციაში, რომ არ არის ინფორმირებული. იყო რამდენიმე საკითხი, რის თაობაზეც მე მასთან მქონდა კონტაქტი და ისეთ ინფორმაციებზე დაყრდნობით აკეთებდა დასკვნებს, რომ მივხვდი, მან ბევრი რამ არ იცოდა. საერთოდ მის გვერდით ტყუილი და მლიქვნელობა იცით როგორი ტრადიციაა? ის რაც დღეს მის გარემოცვაში ხდება, ორი სიტყვით შეგვიძლია დავარქვათ ტყუილი და მლიქვნელობა და ასე შორს ვერ წავალთ.

— ბატონო ჯონდი, თქვენ არაერთხელ განაცხადეთ, რომ კრიზისიდან გამოსავალი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები იქნებაო. თუმცა პრემიერმა გარკვევით თქვა, რომ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები არ იქნებაო...

— პრემიერმა ისიც თქვა, რომ ხვედელიძე ამის გამკეთებელი არ იქნებოდაო, ეს ხომ კარგად გახსოვთ და მეორე დღეს დაიჭირეს ხვედელიძე. გამორიცხული არ არის, რომ შემოდგომაზე მომწიფდეს მოთხოვნა, რომ ჩატარდეს რიგგარეშე არჩევნები, იმიტომ, რომ პარლამენტი სრულიად არაადეკვატურია. არა მხოლოდ იმიტომ, რომ იქ ბევრი ნაციონალი მოხვდა და ეს სრულიად უსამართლო და უკანონოა, არამედ იმიტომაც, რომ ოცნების დიდმა ნაწილმა მიცემული პირობა არ შეასრულა. ყველაზე არ ვამბობ, მაგრამ ბევრმა უსინდისოდ მიატოვა განსაცდელში საკუთარი ამომრჩეველი და

უარს ამბობენ კანონით დაკისრებულ მოვალეობაზე, რომ მაჟორიტარები ბიუროში მაინც მიბრძანდნენ, გამარჯობა თქვან და სიტყვიერი ნუგეში მაინც უთხრან თავის ხალხს. ამიტომ, პრემიერ-მინისტრმა რომ თქვა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ასე არ იქნება. თუმცა მე არ ვამტკიცებ იმას, რომ ვადამდელი არჩევნები აუცილებლად იქნება. ჯერ კიდევ არის შანსი საქმის გამოსწორების. თუმცა, ვინც ეს საქმე უნდა გამოასწოროს და ეს კაცი პრემიერ-მინისტრია, იმან უნდა იცოდეს, რომ საქმე კარგად არ არის. როცა პრემიერი გამოდის და გვიმტკიცებს ყველაფერი კარგად არის, ეს არის დამფიქრებელი და ცუდი. იცით რა მინდა გავახსენო პრემიერ-მინისტრს და მთელ მის გუნდს? სააკაშვილი ამ არჩევნების ბოლო დღემდე სრულიად დარწმუნებული იყო, რომ ამ არჩევნებს იგებდა. მათთვის ეს იყო შოკი, სრულიად დარწმუნებულები იყვნენ, რომ არჩევნებს იგებდნენ. როდესაც ძალაუფლება ხელში გაქვს და ოლიმპოზე დგეხარ, იმდენად მაღლა ხარ, რომ ხშირად რაღაცებს ვერ ამჩნევ. იმდენად რეალურ რაღაცებს ვერ ხედავ, რომ მერე ხელიდან გეცლება ძალაუფლება, ისე, როგორც სააკაშვილს დაემართა. თუნდაც ციხის კადრების გავრცელების შემდეგ, სააკაშვილისთვის რომ გეკითხათ, ის სრულიად დარწმუნებული იყო, რომ არჩევნებს იგებდა. როცა არ ფლობ რეალურ ინფორმაციებს, არც ასეთი დარწმუნებული არ უნდა იყო. ერთი რამ მინდა გითხრათ, მეზიზღება მლიქვნელობა, მლიქვნელები რეალურად ხომ მოღალატეები არიან. ნიშნისმოგებით არ ვამბობ ამას პრემიერ-მინისტრის მიმართ. მე არ მაქვს დაკარგული მის მიმართ პატივისცემა, ნამდვილად ვერ დავუკარგავ იმ ღვაწლს, რაც მან გასწია. თუმცა კიდევ ახალი ნაბიჯებია გადასადგმელი იმიტომ, რომ ქვეყანა ინგრევა, მალე აღმოვჩნდებით სოციალური კატასტროფის წინაშე. ხალხი მარტო სამუშაო ადგილს კი არა, სახლკარს კარგავს. ნახევარ მილიონ ოჯახს საკუთარი სახლებიდან გამოსახლება ემუქრება, შეიძლება მალე ბომჟების სახელმწიფოდ გადავიქცეთ. ახლა აღარაფერს ვლაპარაკობ ტერიტორიულ მთლიანობაზე და თურქეთთან, აზერბაიჯანთან და რუსეთთან დათმობილ გეოპოლიტიკურ ინტერესებსა და იმ სისუსტეებზე, რა სისუსტესაც საგარეო ასპარეზზე ჩვენი ქვეყანა განიცდის. ახლა ასე ვამტკიცოთ, ხვედელიძეს არაფერი დაუშავებია და მეორე დღეს ხვედელიძე ბორკილდადებული მიჰყავდეთ, ეს სახიფათოა სახელმწიფოსთვის. ძალიან კარგი იქნება თუ პრემიერ– მინისტრ შემოიღებს ტრადიციას, რომ თვეში ერთხელ ოპოზიციურ პარტიებთანაც ჰქონდეს დიალოგი და არა მარტო მის მლიქვნელ გარემოცვასთან. აუცილებელია დიალოგი ოპოზიციურ პარტიებთან. მე აქ სატელიტებს არ ვგულისხმობ, მე რეალურ ოპოზიციურ ძალაზე მაქვს საუბარი, სულ სამი-ოთხი პარტია ვართ ასეთი. თუ უნდა სიმართლის მოსმენა, ქვეყანაში რა ხდება და მის გარემოცვაშიც რა ხდება, ის მოისმენს ამას ჩვენგან. შეიძლება ეს იყოს მწვავე ოპონირების რეჟიმში, მაგრამ ოპოზიცია უნდა დაეხმაროს მას ქვეყნის მართვასა და განვითარებაში. ჩვენ ვერ დავუშვებთ, რომ ერთმა პარტიამ და ერთმა ადამიანმა, რომელიც რეალურად არ ფლობს ინფორმაციებს, ხელში აიღოს უკონტროლო ძალაუფლება. მერე კი ეს ძალაუფლება ანტისახელმწიფოებრივად მოაზროვნე პარტიებს ჩააბაროს, როგორც ეს გააკეთა რესპუბლიკური პარტიის შემთხვევაში. ვერც იმას ვერ დავუშვებთ, რომ აჩრდილების მთავრობა მართავდეს ქვეყანას და არა ოფიციალური, საჯარო მინისტრთა კაბინეტი.

— აჩრდილების მთავრობაში რა იგულისხმეთ?

— დიახ, დღეს მინისტრთა კაბინეტი არაფერს არ წყვეტს დღეს სახელმწიფოში. შეკრებილია ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც არანაირ უფლებებს არ ფლობენ და ისინი იღებენ გადაწყვეტილებებს და ისინი მართავენ რეალურად ქვეყანას. ქვეყნის ეკონომიკას მართავს ჩრდილოვანი, ანუ იატაქვეშა მთავრობა. ხოლო პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს იღებს რესპუბლიკური პარტია, ქვეყნის გარეთაც და ქვეყნის შიგნითაც. აი, ეს ორი მმართველი ძალა, ერთი ჩრდილოვანი-ეკონომიკური გადაწყვეტილებებით და მეორე პოლიტიკური გადაწყვეტილებებით და ერთმანეთში კიდევ კინკლაობენ ფულის და გავლენების გადანაწილების გამო. ეს არის ჩვენი ოცნება?! ეს არ იყო ქართველი ხალხის ოცნება და არც ქართველი ხალხის იმედი. აშკარაა, რომ ქართულმა ოცნებამ ვერ გაამართლა ქართველი ხალხის ოცნება კი არა, იმედები. ახლა ორი არჩევანია, ან თავი ჩირგვებში ჩავყოთ და ვიძახოთ, რომ ყველაფერი კარგად არის და ამ დროს სულ დაინგრეს საქართველო. ან თვალები გავახილოთ და ვიგრძნოთ, რომ კმაყოფილების ნირვანაში ყოფნა ქვეყნისთვის არის დამღუპველი.

— ბატონო ჯონდი, ვინ არის ეს იატაქვეშა მთავრობა?

— ეს არის ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც არც ერთ პორთველს არ ფლობენ, ამ ჯგუფში არ შედის არც ერთი მინისტრი. ამ ადამიანებს თავისი საცეცები აქვთ ყველა სამინისტროში, განსაკუთრებით ძალოვანებში და ესენი არიან ივანიშვილთან დაახლოებული პირები, სხვაგვარად ასეთ გადაწყვეტილებებს ხომ ვერ მიიღებენ. ერთ დროს გვყავდა ჩვენ ასეთი ჩრდილოვანი მთავრობა, ეს იყო სააკაშვილი, ოქრუაშვილი, მერაბიშვილი და ადეიშვილი. მერე ჩამოიშორეს ოქრუაშვილი და სამნი დარჩნენ. გილაური რომ ფორმალური პრემიერ-მინისტრი იყო, ეს ხომ კარგად გახსოვთ?! ასეთივე ფინანსთა მინისტრი გვყავდა. ფინანსთა სამინისტრო იყო ადეიშვილის საკურატორო სფერო. მსხვილი ინვესტიციები, ლაზიკები, პორტების მშენებლობები, ეს იყო ადეიშვილის სფერო. მერაბიშვილს თავისი სფერო ჰქონდა – აგრარული მხარე. ყველგან ესენი იღებდნენ გადაწყვეტილებებს. მინისტრი დამლაგებელსაც ვერ მიიყვანდა მის სამინისტროში. აი, ზუსტად ასეთი მდგომარეობაა ახლა შექმნილი.

— შეგიძლიათ ამ, როგორც თქვენ მოიხსენიებთ, იატაკქვეშა მთავრობის წარმომადგენელთა გვარები დაგვისახელოთ?

— გვარები კი არა თუ დროზე არ აილაგმა ამ ადამიანების პარპაში, ისინი ძალიან მძიმედ დაამთავრებენ. ხალხი არის მოთმინების ზღვარზე და ძალიან მალე გაწყდება ეს მოთმინების ბოლო სიმიც. ყველა დაჯდეს თავის ადგილზე და თავის საქმეს მიხედოს. ეს სიტუაცია ვერ დაიჭირა სააკაშვილმა და ვერც ესენი დაიჭერენ. ეკონომიკაზე ხარკის დადება არავის არ ეპატიება. ამ საქმეს ასე არ მივატოვებთ და ეს აუცილებლად იქნება ბოლომდე მიყვანილი.

— გვარების დასახელებისგან თავს რატომ იკავებთ?

— რა აზრი აქვს?! ეს ბევრმა იცის. ბიძინაც იმ წუთში მიხვდება, ვინც არიან. ეს ბიძინამაც იცის და პოლიტიკური სპექტრის დიდმა ნაწილმაც. დაახლოებით ყველა ხვდება. მე რომ არაფრის დასახელებას არ ვერიდები, ეს ხომ კარგად იცით. უბრალოდ დასახელებით, ბიძინას ტერმინი რომ ვიხმაროთ, სიტუაციის დალაგების რესურსი დაიკარგოს. მე ვაცხადებ, რომ არსებობს პრობლემა. მე არ მაქვს პრობლემა სახელებთან და გვარებთან. პრობლემა სახელებსა და გვარებში არ არის, პრობლემა არის ის, რომ ასეთი პრობლემა წარმოიშვა, რომ ისევ კაბინეტის გარეთ მიიღება გადაწყვეტილებები და ინტრიგები იხლართება მთავრობის კაბინეტებში. რომელი სახელი და გვარი გააკეთებს ამას, გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, თვითონ პრობლემა უნდა იყოს ნეიტრალიზებული და არ უნდა დაიწყოს იმის მტკიცება, რომ არა, ასე არ იყო, ჯონდიმ ტყუილი თქვა, აბა, დაგვიმტკიცე და ასე შემდეგ. ეს გადავა კინკლაობაში და შედეგი არ იქნება. თუ მე ვნახე, რომ მაინც არ არის შედეგი, მაშინ უკვე გადავალ სახელებსა და გვარებზე და უფრო სკურპულოზურ განხილვაზე. გულწრფელად გეუბნებით, არანაირი განწყობა არა მაქვს ნიშნისმოგებით საუბრის. პრემიერ-მინისტრს ჯერ კიდევ შეუძლია, რომ თვითონ გამოასწოროს საქმე. ოღონდ თვითონ უნდა აიღოს მართვის სადავეები პოლიტიკისაც და ეკონომიკისაც, იმიტომ, რომ ეს სადავეები ხალხმა ივანიშვილს ჩააბარა და არა უსუფაშვილს და იმ აჩრდილებს, მთავრობაში რომ დაძვრებიან სოროებით.

— ბატონო ჯონდი, რა გამოსავალს ხედავთ სიტუაციიდან?

— პირველ რიგში, გამოსავალი შეიძლება იყოს ის, რომ ივანიშვილმა თვალი გაახილოს და კარგად დაათვალიეროს, რა ხდება მის გარემოცვაში და შემდეგ რა ხდება ქვეყანაში. არ გვინდა ამდენი დითირამბები და ლექსები, დაიღალა ხალხი ამდენი მლიქვნელობით, ეს საზიანოა ჯანმრთელობისთვისაც და რაციონალური გადაწყვეტილების მიღებისთვისაც. მეორეც, გარდაუვალი აუცილებლობაა, რომ შეიქმნას ქართული ოცნების დამაბალანსებელი და მაკონტროლებელი ძალა, ალტერნატიული პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც ხელს შეუშლის და არ მისცემს უფლებას ქართულ ოცნებას, რომ ხელში აიღოს უკონტროლო ძალაუფლება. ეს აშკარაა, ეს პოლიტიკური ძალა მიისწრაფვის უკონტროლო ძალაუფლებისკენ. ეს არის ის, რასაც აკეთებდა სააკაშვილი და რამაც დაანგრია ეს სახელმწიფო. აბა, თქვენ წარმოიდგინეთ, ამ 9 წლის მანძილზე სააკაშვილს რომ ჰყოლოდა კონკურენტი, ისეთი ძლიერი ოპოზიციური პარტია, რომელიც ყველა მის შეცდომაზე მიუთითებდა და ამას სათანადოდ გამოიყენებდა, საქმე ხომ აქამდე არ მივიდოდა?! ხომ არც აგვისტოს ომი იქნებოდა, და არც 26 მაისი და არც 7 ნოემბერი?! და არც ის ციხის სამარცხვინო კადრები. ქვეყანა ამ მდგომარეობამდე არ მივიდოდა. ამიტომ ძლიერი ოპოზიციური ძალა აუცილებლად უნდა შეიქმნას და არ დაგიმალავთ, ჩვენ ვმუშაობთ ასეთი ძალის შექმნაზე და ჩვენ შევძლებთ დავაბალანსოთ ქართული ოცნების ასეთი სახიფათო მისწრაფებები – აიღოს ხელში უკონტროლო ძალაუფლება.

— საუბრის ბოლოს გკითხავთ, თუ შეთანხმდა ოპოზიცია ერთიან საპრეზიდენტო კანდიდატზე?

— იცით რა, მინდა გითხრათ, რომ ჩემთვის ერთიან საპრეზიდენტო კანდიდატზე მეტად მნიშვნელოვანი არის, რომ შედგეს პოლიტიკურ ძალთა ერთობა.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

დავით უსუფაშვილი პატრიარქის ინიციატივის წინააღმდეგ გამოვიდა

შორენა მარსაგიშვილი

დღეს თბილისში დიდ არეულობას ვარაუდობენ. ამ დღეს მთელი საქართველო მოუთმენლად ელოდა. კარგა ხნით ადრე დაანონსდა, რომ 17 მაისს ლგბტ პირები აქციას გამართავდნენ. ასეთი რამეები საქართველოში იოლი ჩასატარებელი არ გახლავთ. რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია დღეს საწინააღმდეგო აქციის ჩატარებას აპირებს.

დღევანდელ აქციას ორგანიზებას „იდენტობა“ უწევს. როგორც ,,იდენტობაში“ აცხადებენ, აქციის მიზანი საქართველოში ჰომოფობიისა და ტრანსფობიის პრობლემაზე ყურადღების გამახვილებაა.

„იდენტობაში“ აღნიშნავენ, რომ აქციას ფლეშ-მობის სახე ექნება და 30 წუთი გაგრძელდება. „მედიანიუსის“ ინფორმაციით, ცისარტყელას ფერის მაისურებში ჩაცმული ლგბტ აქტივისტები და მათი მხარდამჭერები მდუმარედ გამოხატავენ პროტესტს დისკრიმინაციისა და ლგბტ ადამიანების უფლებების დარღვევის ფაქტების მიმართ.

„იდენტობაში“ აცხადებენ, რომ აქციაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ პირს, რომელიც მხარს უჭერს ადამიანთა შორის თანასწორობის იდეას. აქცია გაიმართება მხოლოდ პარლამენტის ყოფილ შენობასთან და დასრულდება ადგილზევე. აქციას მდუმარე სახე ექნება.

საეჭვოა, ეს აქცია მდუმარედ დასრულდეს. როგორც უკვე გითხარით, რამდენიმე ორგანიზაცია საპირისპირო აქციის გამართვას აპირებს.

აქციასთან დაკავშირებით გუშინ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის განცხადებაც გავრცელდა.

– როგორც საზოგადოებისათვის ცნობილია, ა.წ. 17 მაისს რუსთაველის გამზირზე დაგეგმილია სექსუალური უმცირესობებისა და მათი მხარდამჭერების შეკრება, რომელიც მიზნად ისახავს არა ამ ადამიანების რეალური პრობლემების მოგვარებას, არამედ თემით სპეკულირებას, რადგან ფაქტია, ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებული ტრადიციული აზროვნების მიუხედავად, მათ შეუზღუდავად შეუძლიათ წარმართონ თავიანთი პირადი ცხოვრება. ფაქტია ისიც, რომ არის ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები, რომლებიც საერთოა ყველა დროსა და სივრცეში; მათ შორისაა ზნეობრივი კანონები.

ყველა რელიგია და მეცნიერული მიმართულებებიც (ფსიქოლოგია, მედიცინა) ჰომოსექსუალიზმს ანომალიად და დაავადებად მიიჩნევს (რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობთ ახლად შექმნილ ფსევდო-მეცნიერულ შეხედულებებს).

ეკლესია ასეთი მიდრეკილებების მქონე ადამიანებს განიხილავს მეტად მძიმე ცოდვაში მყოფ პიროვნებებად, რომელთაც დახმარება და გამოსწორებისათვის სულიერი თანადგომა სჭირდებათ და არა წახალისება და, მით უმეტეს, მათი მდგომარეობის მოსახლეობისათვის თავს მოხვევა. ეს იგივეა, რომ მოგწონდეს ნარკომანის ქმედება და თანაც ნარკომანიის საყოველთაო აფიშირებას ახდენდე. ჩვენს ხალხსულ სხვა სულისკვეთება აქვს და ამიტომაც გასაგებია მათი მძაფრი პროტესტი კონკრეტულად ამ და ზოგადად ასეთი შეკრებების მიმართ. ჩვენი მოქალაქეები ამაში ხედავენ უმრავლესობის უფლებების დარღვევას, მათი ტრადიციების, სარწმუნოებისა და, ზოგადად, აზროვნების წესის შეურაცხყოფას. ვფიქრობთ, თბილისის მერიამ და ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინონ ეს და გააუქმონ ჰომოსექსუალებისათვის მიცემული ნებართვა დემონსტრაციისა, მით უმეტეს, რომ დღეს მთელ ქვეყანაში საყოველთაო გლოვაა გამოცხადებული მოყვასისათვის თავგანწირული ვაჟკაცების გარდაცვალებასთან დაკავშირებით. შევნიშნავ იმასაც, რომ საერთაშორისო კონვენციები ცალსახად იძლევა იმის უფლებას, რომ, „საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, უწესრიგობისა და დანაშაულის თავიდან აცილების, სხვათა უფლებებისა და ღირსების დაცვის მიზნით“ შეიძლება შეიზღუდოს გამოხატვის თავისუფლება, – ნათქვამია პატრიარქის განცხადებაში.

პატრიარქის განცხადებიდან მოკლე ხანში განცხადება გაავრცელა თბილისის მერიამ. როგორც გაირკვა, მერიას 2 აქციის ჩატარებაზე აქვს ნებართვა გაცემული.

– თბილისის მერიაში მიმდინარე წლის 2 მაისს შემოვიდა „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ პროექტის მენეჯერ ეკა წერეთლის განცხადება 2013 წლის 17 მაისს საქართველოს პარლამენტის ყოფილი შენობის წინ ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით აქციის გამართვის თაობაზე. 2013 წლის 13 მაისს თბილისის მერიას მომართა მოქალაქე გიორგი გაბედავამ, რომ 17 მაისს ეკლესიის მოძღვართა მიერ საკუთარ მრევლთან ერთად იგეგმება შეკრება და მანიფესტაცია რუსთაველის გამზირზე, პირველი სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე. „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, შეკრების ან/და მანიფესტაციის ჩატარებისას ხორციელდება მხოლოდ თვითმმართველი ერთეულის შესაბამისი ორგანოს წინასწარი გაფრთხილება და მასზე ნებართვის გაცემა არ ხდება. შესაბამისად, აღნიშნულ გაფრთხილებები ქ. თბილისის მერიის მიერ მიღებულ იქნა მხოლოდ ცნობად და განმცხადებლებს განემარტათ „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის განსაზღვრული უფლება-მოვალეობანი. თბილისის მერიის მიერ ორივე აქციის თაობაზე ასევე გაფრთხილებულ იქნა საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი, – ნათქვამია მერიის განცხადებაში.

დღეისათვის დაგეგმილ აქციას საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილიც გამოეხმაურა.

– მე ყოველგვარი ძალადობისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგი ვარ, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში პარლამენტის თავმჯდომარემ.

– ქვეყანაში არ უნდა ილახებოდეს ვინმეს უფლებები, ხოლო თუ ვინმე თვლის, რომ მათი უფლებები ილახება ან საფრთხის ქვეშაა, უნდა ჰქონდეთ თავიანთი მოსაზრების ღიად დაფიქსირების თავისუფლება. როდესაც, ზოგადად, უმცირესობის უფლებებზეა საუბარი, ერთხელ და სამუდამოდ უნდა შევთანხმდეთ იმაზე, რომ უმცირესობას იმიტომ ჰქვია ეს სახელი, რომ უმრავლესობა სხვაგვარად ფიქრობს და სხვაგვარად აზროვნებს. შესაბამისად, უმცირესობა შეიძლება არ იზიარებს მათ მოსაზრებებს, რწმენას თუ ცხოვრების წესს. ამიტომ ეს საკითხები არ შეიძლება გადაწყდეს უმრავლესობის შეხედულებების შესაბამისად. უმცირესობას ყოველთვის აქვს უფლება, იყოს უმცირესობაში. რაც შეეხება კონკრეტულ აქციებს, როგორც პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, სახელმწიფო და ცენტრალური ხელისუფლება არსებობს იმისთვის, რომ დაიცვას ყველა მოქალაქის უფლება და თავისუფლება, მიუხედავად მათი შეხედულებებისა. დარწმუნებული ვარ, რომ ხვალინდელ დღეს პოლიცია და შესაბამისი სამსახურები იქნებიან მოწოდების სიმაღლეზე და დაცული იქნება კონსტიტუცია. აი, კონსტიტუცია ვის რა უფლებას აძლევს, კეთილი უნდა ვინებოთ და ამ უფლებებში ჩავეტიოთ, – განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

იმედი ვიქონიოთ, რომ დღევანდელი აქცია მშვიდ ვითარებაში ჩაივლის. ამბობენ, პოლიცია სრულ მზადყოფნაშიაო და ვნახოთ.

„ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება აუცილებელია“

მეცნიერთა ჯგუფი ბიძინა ივანიშვილს მიმართავს

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოში დღეს ბევრი საუბრობს იმაზე რომ ქვეყანაში აუცილებელია ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება. ვადამდელი არჩევნების აუცილებლობაზე განცხადება რამდენიმე პოლიტიკურმა პარტიამ გააკეთა. ამ იდეაას მხარს მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფი და პარტია თეთრებიც უჭერენ.

– 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ შეიცვალა მდგომარეობა, მიუხედავად ამისა კრიზისული ვითარება კვლავ ძალაში რჩება და გარკვეულ პერიოდებში ღრმავდება კიდეც. კრიზისიდან გამოსვლის მცდელობა აქვთ სხვადასხვა ჯგუფებს, ერთ-ერთი ასეთი ინიციატივა არის პარტია „თეთრების“ მიერ შემუშავებული განცხადება. რამდენიმე დღის განმავლობაში, პარტია „თეთრების“ მოწვევით 50-მდე ქართველმა მეცნიერმა, ცნობილმა ადამიანმა მონაწილეობა მიიღო ამ განცხადების განხილვაში. ჩვენ საჭიროდ ჩავთვალეთ ამის შესახებ საზოგადოების ინფორმირება, რადგან ეს არის არა მხოლოდ პოლიტიკური პარტიებისათვის აუცილებელი ინიციატივა, არამედ ეს არის ხალხის გამოძახილი. მიგვაჩნია, რომ „თეთრების“ ინიციატივა საზოგადოების ფართო ფენებისთვის უნდა იყოს ცნობილი, და ამ საკითხებზე საჭიროა საერთო-სახალხო დისკუსიის დაწყება. საკითხი ეხება საქართველოში ვადამდელ საპარალმენტო არჩევნების ჩატარებას. ჩვენ ვთვლით, რომ კრიზისიდან გამოსასვლელად, რომელიც შექმნილია ქვეყანაში, დღეს არსებული კონსტიტუცია, აგრეთვე დღევანდელი პოლიტიკური განლაგება არ იძლევა საშუალებას, რომ ცივილიზებული ფორმით წარიმართოს პროცესები და საზოგადოებამ იგრძნოს ის პროგრესი რაც იყო „ქართული ოცნების“ დანაპირებში. ამას აქვს ობიექტური და სუბიექტური მიზეზები, თუმცა ძალიან ბევრია ხელოვნული პრობლემები, რის გამოც ბევრი რამის განხორციელება შეუძლებელია, – განაცხადა საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელმა, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა მსოფლიო იურისტთა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა პაატა ცნობილაძემ

მისი თქმით, ვადამდელი არჩევნების ჩატარება აუცილებელია იმისთვის, რომ დღეს წარმოდგენილი ორპოლუსიანი პოლიტიკური სპექტრი, არის მიუღებელი, განსაკუთრებით იმ პირობებში, როცა ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ. ამუშავდება კონსტიტუციის ახალი მოდელი, რომლის მიხედვითაც შემოღებული იქნება ქვეყნის საპარლამენტო მოდელი.

– საპარლამენტო მოდელისთვის კი უმნიშვნელოვანესია პოლიტიკური პლურალიზმის დამკვიდრების საკითხი. თუ კონკურენტუნარიანი გარემო არ შეიქმნა საპარლამენტო რესპუბლიკა ვერ შედგება, რადგან საპარლამენტო რესპუბლიკის მთავარი დედააზრი არის პოლიტიკური პლურალიზმი. ორპოლუსიანი პოლიტიკა რაც შესაძლოა დასაშვები იყოს საპრეზიდენტო მმართველობის დროს, აბსოლუტურად მიუღებელია საპარლამენტო მოწყობის ქვეყანაში.

მეორე ფაქტორი – დღეს საზგადოების უპირველესი მოთხოვნაა რეჟიმის გასამართლება. რეჟიმის რომელმაც შექმნა ტერორის ეპოქა. სახეზეა მტკიცებულებები უამრავი დანაშაულებებისა. მაგრამ რეალურად პროკურატურას უჭირს ამ პროცესის წარმართვა. და ამას აქვს თავისი ობიექტური მიზეზიც. ეს პროცესი ვერ წავა ჩქარა, ინდივიდუალურად ძალიან ჭირს ამ საქმეების გახსნა, რადგან ჩვენ საქმე გვქონდა სისტემურ დანაშაულთან, როცა ყველა საქმე მიდის ერთ თავამდე. საქმე გვაქვს რეჟიმის მიერ ჩადენილ დანაშაულებთან და ძნელდება ინდივიდუალურ პასუხისმგებლობებზე საუბარი. ქვეყანაში არსებობდა დანაშაულებრივი, დიქტატორული რეჟიმი. ლოგიკური კითხვა, როგორ უნდა გააგრძელონ მათმა წარმომადგენლებმა მოღვაწეობა პარლამენტში, ან მონაწილეობა მიიღოს საპრეზიდენტო არჩევნებში. ამ მიმართულებითაც სერიოზული ნაბიჯებია გადასადგმელი. ეს იგივეა, რომ ომის შემდგომ გერმანიაში „ნაციონალ-სოციალისტურ პარტიას“ მიეღო მონაწილეობა არჩევნებში. ჩვენ ვაპირებთ კონსულტაციებს სხვა მეცნიერებთან და პარტიებთან, რათა დაიწყოს მსჯელობა ვადამდელ საპარალმენტო არჩევნებთან დაკავშირებით. ჩვენ ვსვამთ ამ საკითხის მიზანშეწონილობას. ხომ არ სჯობს, რომ ამ საკითხებთან დაკავშირებით გაიმართოს კონსულტაციები, 26 მაისისთვის უნდა გაიმართოს დიდი თავყრილობა მაქსიმალურად ყველას მონაწილეობით, რომ წარმოდგენილი იყოს არგუმენტები, რომ ქვეყანაში შეიცვალოს სიტუაცია და ხელისუფლებას შევუმსუბუქოთ უმძიმესი ტვირთი. ჩვენ გვინდა ვთქვათ, რომ თანდათანობით, მიუხედავად ახალი ხელისუფლების განწყობისა, იწყება გაუცხოება ხალხსა და ხელისუფლებას შორის. გავიხსენოთ, 1 ოქტომბრის არცევნების დროს ხალხის მოთხოვნა არ იყო მხოლოდ პური და საკვები, ხალხი ითხოვდა სამართლიანობის აღდგენას და თუ ეს არ მოხდა კრიზისი გაღრმავდება, – აღნიშნა პაატა ცნობილაძემ.

პარტია „თეთრების“ ლიდერმა თემურ შაშიაშვილმა მიმართვის ტექსტი წარმოადგინა. ეს მიმართვა საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბიძინა ივანიშვილს გაეგზავნა. ალბათ გახსოვთ რომ ივანიშვილმა რამდენჯერმე მოუწოდა პრეზიდენტს პარლამენტის დათხოვნისკენ.

– ქვეყანაში სისტემური კრიზისი გრძელდება და კოჰაბიტაციის, ორხელისუფლებიანობის პირობებში იგი კიდევ უფრო ღრმავდება.... მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ჩვენი წინადადება მიუღებელი იქნება პარლამენტში წარმოდგენილ პოლიტიკოსთა მეტი ნაწილისათვის, მაგრამ ასევე ანალიზის და დიდი კონსულტაციების გათვალისწინებით ვფიქრობთ, ქვეყნისა და ხალხისათვის ის განსაკუთრებული შეიძლება გახდეს. ამ მოსაზრებას გვიძლიერებს პოლიტიკური აზროვნების ისტორია და მსოფლიო პოლიტიკური პრაქტიკის გამოცდილება. ჩვენთვის მთავარია რამდენიმე პროგრესული კაცი გვიჭერდეს მხარს, ვიდრე ათასები ბრმად გვიკრავდეს ტაშს. ბრმად ტაშის კვრამ და ბრმად ტაშის დამკვრელებმა, რაც ლიდერთა გაფეტიშებას ემსახურებოდა სისტემურ კრიზისში შეიყვანეს და დაღუპეს ქვეყანა . სწორედ, ამის მსხვერპლი გახდა ზვიად გამსახურდიას ძლიერი ეროვნული პოზიცია. არარაობად აქცია ედუარდ შევარდნაძის საგარეო პოლიტიკა, დამანგრეველი მიმართულება მისცა სააკაშვილის ენერგიას. რეალური საშიშროება ემუქრება ბიძინა ივანიშვილის მამულიშვილურ განწყობას და დიდ პროგრამას, – ნათქვამია საინიციატივო ჯგუფის განცხადებაში.

საინიციატივო ჯგუფის წევრთა განცხადებით, დღეს გაბოროტებულ „ნაცმოძრაობას“ უფრო მეტის გაფუჭება შეუძლია ქვეყნისა და ხალხისათვის, ვიდრე საქმის კეთებაზე ორიენტირებულ ბიძინა ივანიშვილის კოალიციას შეუძლია ჩასაფრებული „ნაცების“ პირობებში გააკეთოს ხალხისა და ქვეყნისათვის.

სამწუხარო ფაქტის წინაშე ვდგავართ: ქვეყანაში გაცილებით მეტი ფუჭდება, ვიდრე კეთდება, უფრო ზუსტად, ქვეყანაში კეთდება გაცილებით ნაკლები, ვიდრე ეს შესაძლებელია, ვიდრე პოტენციალი არსებობს. ხალხის მოლოდინი კი იყო ხელისუფლება, რომელიც იმუშავებდა ქვეყნის პოტენციალის შესაძლებლობის მაქსიმუმზე. დღეს ნამდვილად არსებობს სასიკეთო და საოცრად დიდი საქმეების კეთების რეალური შესაძლებლობა.

– ვაღიაროთ, ჯერჯერობით გამფუჭებელს უკეთესი შედეგები აქვს, ვიდრე გამკეთებელს. თითქოსდა ლოგიკურიცაა – საქმის კეთება ყოველთვის ძნელია, ჩასაფრებულის პირობებში – თითქმის შეუძლებელი და ამავე დროს, როგორი ადვილია საქმის გაფუჭება. მით უფრო, როცა სახელმწიფო ინტერესების საწინააღმდეგოდ მთავარი ჩასაფრებული თვით პრეზიდენტია, გუბერნატორები და მთელი საპრეზიდენტო ვერტიკალი – სოფლის რწმუნებულთა უმრავლესობის ჩათვლით. როცა ჩასაფრებულია კონტროლის პალატა სრულად და სასამართლო ხელისუფლების დიდი ნაწილი. შედეგი? – პერმანენტული სისტემური კრიზისი, – ნათქვამია განცხადებაში.

მათი აზრით, ქვეყანა კარგავს მნიშვნელოვან ერთ წელს. თუ ხალხის უდიდესმა ნაწილმა არ, ან ვერ გააცნობიერა „ნაცმოძრაობის“ დამანგრეველი სტრატეგია, ეს წელი შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს ხალხისა და ქვეყნისათვის და იმავდროულად წარმატებული – ჩასაფრებული პოლიტიკური ძალის, მოღალატე, მედროვე და სკამის პოლიტიკოსებისათვის.

– ჩვენ ვინანებთ, მწარედ ვინანებთ, რომ 2013 წლის 20 იანვარს არ დავამთავრეთ სააკაშვილის პრეზიდენტობა. ვხედავთ, როგორ მტრობს პრემიერ-მინისტრს სააკაშვილი ქვეყნის შიგნით და როგორ დასდევს მას ფეხდაფეხ უცხოეთში . ის მუშაობს იმაზე, თუ როგორ მოშალოს სახელმწიფო ინსტიტუტები ქვეყნის შიგნით, როგორ დაძაბოს ქვეყნის გარე ძალების დამოკიდებულება ახალი მთავრობისადმი. დღეს უკვე აშკარაა, ის ებრძვის არა ერთ კაცს – ივანიშვილს, არამედ სახელმწიფოს, ხალხს,ქვეყანას.

გამოსავალი არსებობს. ეჭვი არ გვეპარება, ამ საკითხებზე ფიქრობს „ქართული ოცნება“ და მისი ლიდერი, ბატონი ბიძინა ივანიშვილი. ვფიქრობთ ჩვენც და რაც დრო გადის, მით უფრო ვრწმუნდებით, გამოსავალი პოლიტიკური სექტისაგან – „ნაცმოძრაობისაგან“ ქვეყნის განთავისუფლებაშია.

ჩვენი აზრით, ქვეყნის სწორი განვითარება უკავშირდება რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებს და დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური სივრცის დამაბინძურებელი პოლიტიკური ძალებისა და ხელისუფალთა გასამართლებას. მცდარია, პირდაპირ ვიტყვით, ქართული ბუნებისათვის მიუღებელია ქვეყნის გარედან შემოგდებული ე.წ. „კოჰაბიტაციის“ მთელი იდეოლოგია. იგი ემსახურება არა საქართველოს, არამედ ქვეყნის დამანგრეველი პოლიტიკური ძალის პოლიტიკურ ასპარეზზე შენარჩუნებას. ემსახურება იმას, რომ პოლიტიკური სივრცე საქართველოში ორპარტიული გახდეს და ერთ-ერთი – „ნაცმოძრაობა“ იყოს. ამაზე დიდი მტრობა საქართველოსათვის ვერც კი წარმოგვიდგენია. შემცდარია ყოველი, ვინც „ნაცმოძრაობას“ მთავარ ოპოზიციურ ძალად და მეორე პოლიტიკურ ცენტრად მოიაზრებს. „ნაცმოძრაობაზე“ მეტად მტრობს ხალხს და ქვეყანას ის პოლიტიკოსი, ის პოლიტიკური ძალა, რომელიც ამას შეგნებულად აკეთებს, ან მომავალში გააკეთებს. გარედან თავსმოხვეულ, შეუთავსებელთა შეთავსების დამანგრეველ პოლიტიკურ კურსს ხალხმა არჩევნებით უნდა გამოუტანოს განაჩენი, – მიაჩნიათ მეცნიერებს.

ისინი თვლიან რომ ამ თემაზე დისკუსია უნდა გაიმართოს. ამ დისკუსიამ კი უნდა გააერთიანოს საქართველო.

– გააერთიანოს ყველა ქვეყნის შიგნითა და გარეთ, გააერთიანოს, რათა განხორციელდეს პრინციპი: ქვეყანას ყველა დონეზე მართავს ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება, ხელისუფლებას მართავს საზოგადოება, საზოგადოებას მართავს ინტელექტი და ზნეობა და ყველაფერი ეს ხდება მხოლოდ მაშინ, როცა ხელისუფლების წყარო არის ხალხი. ასეთია პოზიცია. ჩვენ ვდგავართ იმ ხალხთან და იმ პოლიტიკურ ძალებთან ერთად, რომელთაც მსგავსი ხედვა აქვთ. საინიციატივო ჯგუფის წევრები შევთანხმდით, რომ 26 მაისს მოვიწვიოთ დიდი შეკრება და დავაფუძნოთ დარბაზი, რომელიც კოორდინირებას გაუწევს სახალხო დისკუსიას ვადამდელ არჩევნებთან დაკავშირებით. სიმბოლურია, რომ ეს საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს მოხდება, რადგან საქართველოს მომავალი რეალურ არჩევნებთან და იმ პოლიტიკურ ძალებთან არის დაკავშირებული, რომლებიც ქვეყნის გარედან არ იმართებიან, – ვკითხულობთ განცხადებაში.

„გელა ხვედელიძის გირაოთი გათავისუფლება სამართლიანი იყო“

შორენა გონგლაძე

„პროკურატურას სრული უფლება აქვს, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება გაასაჩივროს, თუმცა ამის საფუძველი არ არსებობს“, – ეს განცხადება შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსნის, გელა ხვედელიძის ადვოკატმა კახა სოფრომაძემ გუშინ „პრაიმტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა. კახა სოფრომაძის განცხადებით, საქალაქო სასამართლომ მისი დაცვის ქვეშ მყოფის გირაოთი გათავისუფლებასთან დაკავშირებით სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღო, რადგანაც საფუძველი მისი დაპატიმრებისა არ არსებობს.

– პროკურატურას აქვს უფლება სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების, თუმცა საფუძველი არ არსებობს. თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიღო დასაბუთებული და კანონიერი გადაწყვეტილება, იმის გათვალისწინებით, რომ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს ედავებიან ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენას. შესაბამისად, საფუძველი იმისა, რომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა გამოყენებულიყო, არ არსებობს. ამის მიუხედავად, ბრალდების მხარეს აქვს სრული უფლება, გაასაჩივროს აღნიშნული გადაწყვეტილება, თუმცა, ვერ ვფიქრობ, რა შეიძლება იყოს ამის სამართლებრივი საფუძველი. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს ხელი არ მიუწვდება მტკიცებულებებზე და, შესაბამისად, დანაშაულის განმეორების საფრთხე არ არსებობს, – აცხადებს ადვოკატი.

პროკურატურამ შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი პირველი მოადგილის გელა ხვედელიძის მიმართ სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა. ამასთან დაკავშირებით პროკურატურამ გუშინ გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამია:

„2013 წლის 15 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის შუამდგომლობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლის მე-3 ნაწილით ბრალდებულ გელა ხვედელიძის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების თაობაზე. თბილისის საქალაქო სასამართლომ გელა ხვედელიძეს აღკვეთის ღონისძიების სახით შეუფარდა გირაო 5000 ლარის ოდენობით, საპატიმრო უზრუნველყოფით. ბრალდების მხარემ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა“. პროკურატურის ცნობით, გელა ხვედელიძის ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიებას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია აწარმოებს. ხვედელიძის გირაოთი გათავისუფლების შემდეგ ასევე გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ შესაძლოა ხვედელიძეს შინაგან საქმეთა სამინისტროში კვლავ გაეგრძელებინა მუშაობა. ინფორმაცია ხვედელიძის ადვოკატის განცხადების შემდეგ გავრცელდა. პროცესის დასრულების შემდეგ გელა ხვედელიძის ადვოკატმა კახაბერ სოფრომაძემ განაცხადა, რომ გელა ხვედელიძე დღემდე შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობაზე რჩებოდა, თუმცა გავრცელებული ინფორმაცია უარყოფილ იქნა. საქართველოს მთავრობის ვებგვერდზე ბრძანება გამოქვეყნდა, რომელიც შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის გელა ხვედელიძის თანამდებობიდან გათავისუფლებას ეხება.

„გათავისუფლდეს გელა ხვედელიძე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობიდან ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 95-ე მუხლის საფუძველზე“, – აღნიშნულია ბრძანებაში. ბრძანებას ხელს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი აწერს.

შეგახსენებთ, რომ გელა ხვედელიძეს ჟურნალისტ გიორგი ფარესიშვილის პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეომასალის გავრცელება ედება ბრალად. საქალაქო სასამართლომ მას გუშინ აღკვეთის ღონისძიების სახით 5 000-ლარიანი გირაო დააკისრა.

ვლადიმერ ტაბაღუა: „პატიმრებმა აიშვეს“

გულიკო ბალაძე



პენიტენციალურ სისტემაში პრობლემები კვლავ არსებობს, მაგრამ ახლა უფრო სხვა ტიპის, ვიდრე ეს იყო სააკაშვილის რეჟიმის პირობებში, რამაც სისტემური კრახი გამოიწვია.

თუმცა, პრობლემა მაინც პრობლემაა და მასზე თვალის დახუჭვა ქვეყნისთვის დათვური სამსახური იქნება.

ადვოკატი ვლადიმერ ტაბაღუა აცხადებს, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში პატიმრები გათავისუფლდნენ ტანჯვა-წამებისაგან. თუმცა, ახლა უარყოფითი ორიენტაციის ადამიანებმა წამოყვეს თავი, ცდილობენ ციხეში სიტუაციის მართვას.

ადვოკატი ამბობს, რომ ახლა ციხის თანამშრომლები აღმოჩნდნენ ცუდ სიტუაციაში, რადგან ახლა მსჯავრდებულები ახდენენ ციხის თანამშრომლებზე ზეწოლას.

ციხის თანამშრომლებზე ასევე ზეწოლას ახდენენ ციხის ადმინისტრაცია და სამინისტროს ხელმძღვანელობა.

– ახლა სურათი შეიცვალა. მოვიდა ახალი ხელისუფლება. პატიმრებმა თავი დააღწიეს ტანჯვა-წამებას, მაგრამ ნორმალური ცხოვრების პირობებში რომ ჩადგნენ, თავი იჩინა შემდეგმა გარემოებამ – პატიმრებმა აიშვეს. ესენი არიან უარყოფითი ორიენტაციის პედაგოგიურად მოუხელთებელი ადამიანები. თუ სააკაშვილის დროს ციხის თანამშრმლები დაცულები იყვნენ, ახლა ორმაგ წნეხს განიცდიან როგორც მსჯავრდადებულებისაგან, ასევე ადმინისტრაციისა და სამინისტროს ხელმძღვანელობისაგან, – აცხადებს ადვოკატი ვლადიმერ ტაბაღუა.

როგორც ვლადიმერ ტაბაღუა ამბობს, სასჯელაღსრულების დაწესებულება არის დამოუკიდებელი იურიდიული სტატუსის მქონე. ლაპარაკია სასჯელაღსრულების ნებისმიერ საპყრობილეზე.

აღნიშნული დაწესებულებები დამოუკიდებლად უნდა ახორციელებდნენ კანონის ყველა იმ მოთხოვნას, რომელიც განსახორციელებელია პატიმართა მიმართ რეჟიმის დაცვის თვალსაზრისით. ეს იქნება სააღმზრდელო მუშაობა, სარეჟიმო მოთხოვნები, ოპერატიული უსაფრთხოება.

– აბსოლუტურად არაფერს აკეთებენ, ელოდებიან ზემოდან კარნახს. თვითონ შემოქმედებითად რომ განავითარონ, მოიფიქრონ რაღაც და დაგეგმონ, ამის უნარი არ გააჩნიათ, – ასე აფასებს ვლადიმერ ტაბაღუა ციხეში არსებულ ვითარებას, რომელიც ამ სისტემას კარგად იცნობს, რადგან წლების განმავლობაში სასჯელაღსრულების დაწესებულებას ხელმძღვანელობდა და დიდი გამოცდილება გააჩნია.

ამასთანავე, ვინაიდან ვლადიმერ ტაბაღუა ამჟამად ეწევა საადვოკატო საქმიანობას, ის იცავს ბოლო დროს სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან დათხოვნილ თანამშრომლებს და კონკრეტულად საუბრობს იმ მიზეზებზე, რის გამოც ისინი სისტემიდან დაითხოვეს.

– რატომ მიიჩნევენ თანამშრომლები, რომ ისინი უკანონოდ არიან დათხოვნილი? წარმოდგენილია დასკვნა, რომელსაც ამტკიცებს ბატონი მინისტრი სოზარ სუბარი. დასკვნაში ფორმულირებულია ისეთი ბრალდება, რომელიც ბუნებაში არ არსებობს. მათ აბრალებენ, რომ №16 დაწესებულებაში 2013 წლის 7 აპრილიდან 21 აპრილამდე განხორციელდა პატიმრების გადაყვანა სხვა დაწესებულებაში, მაგრამ მათი გადაყვანის მოტივი და მიზეზი ამათთვის ცნობილი არ არის. პატიმრების ბოლო ბადრაგირება განხორციელდა 2013 წლის 21 აპრილს და 4 საათზე დასრულდა.

ამ დროს წარმოდგენილი დასკვნის მიხედვით, თითქოსდა უსაფრთხოების დაცვის მიზნით დირექტორმა გასცა განკარგულება, ყველა საკანი დაკეტილიყო და იქ არავინ არ შესულიყო, მაგრამ ამ ჯგუფმა თითქოსდა დირექტორის ბრძანება არ შეასრულა, თვითნებურად გააღეს №18 საკანი.

მანამდე ამ საკანში მოთავსებულები ჰყავდათ ე.წ. მაყურებლები მათი ლიდერის, პატმარ ავალიანის მეთაურობით. ისინი წახალისებული გახლდნენ ადმინისტრაციის მიერ და მიშვებული იყვნენ თავის ნებაზე როგორც ადმინისტრაციის, ასევე დეპარტამენტისა და სამინისტროს ხელმძღვანელობის მიერ.

კონკრეტულად, მინისტრსა და მოადგილეს ეს არ ეხება. კერძოდ, ეს ეხება გენერალურ ინსპექციას. როცა ის ვიზიტით მიდიოდა №16 დაწესებულებაში, შედიოდა იმ საკანში, ხედავდა იქ რა დარღვევები იყო, მაგრამ რეაგირებას არ ახდენდა.

კერძოდ, ტელეფონი, რომელიც დაწესებულებაშია, საერთო სარგებლობისაა და პატიმარმა უნდა დაურეკოს ოჯახს, ნათესაობასა და თუნდაც პრესას, ის „მაყურებელი“ აკონტროლებდა, რომ პატიმრებს რამე ცუდი არ ეთქვათ. ასე იყვნენ მოლაპარაკებული. თვითონ ორი ტელეფონი ედგა. შიგნით რომ არ შესულიყვნენ და არ შეეწუხებინათ, გარეთ დაუდგამდა და მისი კონტროლის ქვეშ ლაპარაკობდნენ პატიმრები.

ამას უყურებდა თავად სუბელიანი, მონიტორინგის უფროსი არჩილ ნიკოლეიშვილი, დეპარტამენტის უსაფრთხოების უფროსი გია ჯანიაშვილი, დაწესებულების დირექტორი და მისი მოადგილე, მაგრამ არავითარ რეაგირებას არ ახდენდნენ.

თურმე გააღეს ეს საკანი, როცა დაცალეს და წავიდნენ. ამათ გამოიტანეს იქ არსებული ნივთები და ეს საკანი გამოიყენეს თავიანთი სარგებლობისთვის.

ვლადიმერ ტაბაღუას განცხადებით, წარმოდგენილი დოკუმენტი არის გენერალური ინსპექციის მიერ სამსახურებრივი შემოწმების შედეგად შეჯამებული დოკუმენტი, რომელსაც ჰქვია დასკვნა. ეს დასკვნა დამტკიცებულია მინისტრის მიერ მისი შეცდომაში შეყვანით. დასკვნა ხდება რიგი თანამშრომლების დათხოვნის მიზეზი.

– აღნიშნული დასკვნა უსაფუძვლოა. მასში წერია სიცრუე და სიყალბე. შესაძლებელია ეს სიყალბე დაეწერა დირექტორს, რომელმაც იმ სისტემის არაფერი იცოდა, არამედ სამინისტროსაგან მოდიოდა განკარგულება, მაგრამ ეს განკარგულება ხელმძღვანელობამ არ შეასრულა. როდესაც მინისტრისგან მოდის განკარგულება, თუნდაც სიტყვიერი, თანამშრომელმა საიდან უნდა გაიგოს? ამ დროს დირექტორია ვალდებული პირადი შემადგენლობა შეკრიბოს ინსტრუქტაჟით და უთხრას, არის განკარგულება, გავიყვანოთ პატიმრები, დაიკეტოს საკნებიო. საკნები უნდა დაიკეტოს.

იმისათვის, რომ დაწესებულების დირექციას ან დაწესებულების დეპარტამენტს თავი დაეძვრინათ, ვთქვათ, სამინისტროსაგან მომავალი განკარგულებისაგან, რომ საკნები ყოფილიყო დაკეტილი, ეს მათ არ გააკეთეს და თანამშრომლებს დაუბრალეს.

ვლადიმერ ტაბაღუა საუბრობს, რომ სწორედ ყალბი დასკვნის საფუძველზე გაათავისუფლეს რუსთავის №16 დაწესებულების ინსპექტორი ლევან დადიანი.

მისი თქმით, იმ ღამით მართლა მოხდა შემოწმება, დეპარტამენტიდან იყვნენ ჩასული. კერძოდ, თვითონ დეპარტამენტის უსაფრთხოების უფროსი ჯანიაშვილი და №16 დაწესებულების უსაფრთხოების უფროსი გია მუკბანიანი.

– ამოვიდნენ, შეამოწმეს, საკნები იყო თუ არა დაკეტილი. ყველა საკანი დაკეტილი იყო, გარდა მე-18. მე-18 იყო ღია. თვითონ ჯანიაშვილი შემოვიდა, შეამოწმა და არაფერი უთქვამს, რატომ არის ღია, ან ვინ დატოვა ღიაო. რადგან თანამშრომლები იყვნენ შიგ, თქვა, ოღონდ მიუთითონ, რომ აქ თანამშრომლები არიანო და ღია დაგვიტოვა. მე-18 საკნის გასაღების გარდა, ყველა გასაღები ჩავაბარეთ გია მუკბანიანს. მე-18 საკნის გასაღები თვითონ დაგვიტოვა, რადგან თანამშრომლები ვიყავით შიგ და შეგვეძლო მოგვესვენა მორიგეობის ცვლილების დროს. ის ისვენებდა, ვისაც ეკუთვნოდა დასვენება. ეს ხდება 21 აპრილს გვიან ღამით. 22 აპრილს მე ვიცვლები. დილის 10 საათისთვის მოდის მეორე სმენა. ჩვენი სმენა წამოვიდა 11-12 საათზე. 3-4 საათზე გვირეკავენ ღამის სმენაში მომუშავეებს დირექტორის ბრძანებით. საკნის კარი ღია იყო და ჩვეულებრივად შევედით. არავის უთქვამს, დაკეტილია და შესვლა არ შეიძლებაო, – ყველა დადიანი, – გენინსპექციის დასკვნით კი, გვიან ღამით მორჩა პატიმრების განაწილება და ამის შემდეგ დირექტორმა გასცა სიტყვიერი განკარგულება, დაკეტილიყო ყველა საკანი. დავუშვათ მართალია, რომ 22 აპრილს გვიან ღამით ეს მოხდა. ჩვენ, სმენაში მომუშავე თანამშრომლები, დილის 11 საათისთვის გამოვედით აღნიშნული ტერიტორიიდან და მას შემდეგ იქ არ ვყოფილვართ. როგორ შეიძლებოდა 22 აპრილს, გვიან ღამით გამოშვებული სიტყვიერი განკარგულება დაგვერღვია 22 აპრილს დილით?!

გათავისუფლებული თანამშრომლები მას შემდეგ მინისტრ სოზარ სუბართან შეხვედრას ითხოვენ ადვოკატთან ერთად. უნდათ პირადად მას აუხსნან სიტუაცია, რადგან, მათი თქმით, იმ დასკვნაში, რომლის საფუძველზეც ისინი გაათავისუფლეს, ბევრი უზუსტობაა.

როგორც გათავისუფლებული თანამშრომლები აცხადებენ, ჩასულები იყვნენ დეპარტამენტში მონიტორინგის უფროს არჩილ ნიკოლაიშვილთან.

– დეპარტამენტში მივედით 11 ადამიანი, ზევით ავედით ხუთნი. კაბინეტში რომ შევედით, სამი ადამიანი ცალკე დაგვსვეს, ორი ცალკე გაიყვანეს. მოგვცეს კალამი და ფურცელი და ახნა-განმარტების დაწერა მოგვთხოვეს. ჩვენ ვკითხულობთ, რის ახსნა-განმარტება? გვეკითხებიან, რატომ დაიშალა №16 დაწესებულება? ვპასუხობთ, ჩვენ რატომ გვეკითხებით, ჰკითხეთ ადმინისტრაციას, ხელმძღვანელობას და გაარკვიეთ. გვეუბნებიან: იცით, ჩვენ საიდან ვართ მოსული? ჩვენ რასაც გეტყვით, იმას დაწერთ. თუ არ დაწერთ, თქვენს თავს დააბრალეთ – გაგათავისუფლებთ სამსახურიდანო. მართლაც, რასაც თვითონ გვეუბნებოდნენ, ის არ დავწერეთ და 26 აპრილს გაგვათავისუფლეს სამსახურიდან, – ასეთ დამოკიდებულებაზე საუბრობენ ყოფილი თანამშრომლები.

როგორც ჩანს, სასჯელაღსრულების სისტემაში ჯერ კიდევ ბევრი რამ არის მოსაწესრიგებელი და გასარკვევი. ყველაზე დიდი პრობლემა ახლა კადრების საკითხია. თუმცა, ადვოკატი ვლადიმერ ტაბაღუა ყველაზე დიდ პრობლემად კადრებთან ერთად ე.წ. „მაყურებლების“ გაჩენას მიიჩნევს.

მართალია ბატონმა მინისტრმა ჟურნალისტებს მონიტორინგის პროცესში მონაწილეობაზე უარი გვითხრა იმწუთიდანვე, რა წუთშიც ის დასახელდა მინისტრად, მაგრამ პენიტენციალური სისტემა იმაზე დახურული ალბათ ვეღარ იქნება, ვიდრე ეს სააკაშვილის დროს იყო და ინფორმაცია მაინც მიეწოდება ჟურნალისტებს და საზოგადოებას.

მინისტრი ვალდებულია გაარკვიოს, რის გამო და რა სიტუაციაში დაითხოვეს 11 თანამშრომელი სამსახურიდან.

სუბარი ციხეებს ვერ აკონტროლებს?!

ცხინვალის მიერ დაკავებული 2 მოქალაქე გაათავისუფლეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს და საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისიის წარმომადგენლების მიერ, „ცხელი ხაზის“ მეშვეობით, ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებთან მოლაპარაკებების შედეგად, უკანონოდ დაკავებული საქართველოს 2 მოქალაქე დღეს გათავისუფლდა.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, 3 მაისს, გორის რაიონის სოფელ ბერშუეთში მცხოვრები ხვიჩა გლურჯიძე და 8 მაისს, კასპის რაიონის სოფელ საკორინთლოში მცხოვრები ვასილ სალამაშვილი ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის ე.წ. ადმინისტრაციული საზღვრის „უკანონო კვეთის“ ბრალდებით რუსი სამხედროების მიერ იყვნენ დაკავებული.

ნიუსპრესი

ეკა ბესელია: „საჭიროა თუ არა ავღანეთში ჯარისკაცების ეს რაოდენობა“

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ეკა ბესელია ავღანეთში მომსახურე ქართველი ჯარისკაცების შემცირების სურვილს გამოთქვამს.

„ჩვენ მთლიანად ამ უსაფრთხოების ნაწილი ვართ, არა მარტო იმიტომ, რომ საერთაშორისო თანამეგობრობას აწუხებს, მაგრამ მასშტაბთან დაკავშირებით, რაოდენობასთან დაკავშირებით მაშინ, როდესაც ტენდენციაა, რომ თითქმის ყველა მონაწილე ქვეყანა ამცირებს კონტინგენტს, ამ შემთხვევაში საქართველო, რომელიც ერთ-ერთი გამოკვეთილია იმ მხრივ, რომ ყველაზე მეტი ჯარისკაცი გვყავს გაგზავნილი ავღანეთში, ხომ არ არის დრო ვიფიქროთ, საჭიროა თუ არა ეს რაოდენობა მითუფრო, როდესაც ესე მწვავედ დგას მათი სიცოცხლის საკითხი,“ – აცხადებს ბესელია.

მედიანიუსი

გურამ ჩახვაძე: „უცხოელი ბიზნესმენები საქართველოში ჩამოსვლისგან თავს იკავებენ“

თამარ ნინიძე

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია აცხადებს, რომ საქართველოს ეკონომიკა კრიზისის ზღვარზეა. ეკონომიკური ჩექცესია კრიზისის ნინაპირობაა. „ახალი თაობა" ედპ-ს მთავარი კომიტეტის ნევრ გურამ ჩახვაძეს ესაუბრა.

– პირველ რიგში, მაინტერესებს, როგორ შეაფასებთ მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკას. გამოითქვა ვარაუდი, რომ ეკონომიკური პოლიტიკა და სოციალური სფერო მარცხნივ გადაიხარა.

– მე ვერ ვიტყოდი, რომ ასე გამოკვეთილად არის მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა მარცხნივ გადახრილი. შეგვიძლია ვიმსჯელოთ, მემარჯვენეა თუ მემარცხენე ეს პოლიტიკა, წიგნების უფასო დარიგება მართლაც არის მემარცხენე პოლიტიკა, იმიტომ რომ არ ხდება ოჯახების დიფერენცირება, რომელია შეძლებული და რომელი – სოციალურად დაუცველი. შეიძლება, ეს მიდგომა საპრეზიდენტო არჩევნებსაც უკავშირდებოდეს. რაც შეეხება ეკონომიკურ პოლიტიკას, ვიტყვი, რომ არ გვაქვს მწყობრი სისტემა, რომელიც მოგვცემს საშუალებას, ვიმსჯელოთ ეკონომიკურ პოლიტიკაზე, დღევანდელი ეკონომიკური პოლიტიკა ეკლექტურია, ჩვენ ვხედავთ სოციალურ სფეროში გარკვეულ ძალისხმევას. რაც შეეხება საყოველთაო სამედიცინო დაზღვევას, ასევე დაგროვებით საპენსიო სისტემაზე გადასვლას, რაც ნორმალურია, სულაც არ არის მემარცხენე სისტემა და დანერგილია იმ ქვეყნებში, სადაც არიან მემარჯვენე და მემარცხენე მთავრობები. ამ სისტემებს აქვს ხარვეზები, რამდენად საყოველთაო იქნება ეს დაზღვევები, რა დოზით უზრუნველყოფს სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობას. აქ აქვს ხელისუფლებას პრობლემა. მეორე პრობლემა არის კონკურენტული გარემოს შექმნა, საბაზრო ეკონომიკის ფუნდამენტია კონკურენტული გარემო, რომელიც შეუძლებელია დამოუკიდებელი ანტიმონოპოლიური სამსახურის გარეშე. დღეს ამ მიმართულებით ვერანაირ ძვრას ვერ ვხედავთ, ექვსი თვე არ არის საჭირო, რომ შეიქმნას დამოუკიდებელი სააგენტო. დავინახეთ, რომ არანაირი ცვლილება არ მოხდა ამ მხრივ 2013 წელს.

– თქვენ გახსოვთ, ალბათ, რომ წინასაარჩევნოდ „ქართულმა ოცნებამ“ ერთ-ერთ დაპირებად წარმოადგინა ანტიმონოპოლიური სამსახურის შექმნა. შვიდი თვე გავიდა და ამ სტრუქტურის შექმნას საშველი არ დაადგა. რამდენად შეუწყობს ხელს ეს სამსახური იმას, რომ ბაზარზე კონკურენტული გარემო შეიქმნას და პოლიტიკურმა წრეებმა არ დაიწყონ ბიზნესის გადანაწილება?

– თუ არის ანტიმონოპოლიური სამსახური ქვეყანაში, ეს არის გარანტი თავისუფალი მეწარმეობის ანუ ყველა ერთ მდგომარეობაშია და არ არსებობს გამორჩეული და პრივილეგირებული ბიზნესჯგუფი, რომელსაც ექნება სასათბურე პირობები, ეს მერე უკვე აისახება საქონლის წარმოებაზე, მომსახურებაზე, ეს დადებითად აისახება ფასზეც და ხარისხზეც. მონოპოლიურ მდგომარეობაში მყოფმა რომელიმე ჯგუფმა შეიძლება ადამიანებს მიაწოდოს უხარისხო მომსახურება და პროდუქცია, ამის ცდუნება მას ექნება, მეორეა ფასები, რომელიც მძიმე ტვირთად აწვება ჩვენს ოჯახებს. იმის ნაცვლად, რომ ანტიმონოპოლიურ სამსახურს შეესწავლა რკინიგზის საქმე, ჩვენ ვხედავთ, არის მონოპოლიური ინტერესები, აქ ერევა კერძო პირი თუნდაც ხუხაშვილის სახით და ის ახდენს დემონოპოლიზაციას. ჩვენ საქმე გვაქვს ქმედებასთან, რომელიც სახელმწიფოსა და სა-

მართალზე მაღლა დგას.

– გაქვთ საფუძვლიანი მტკიცებულებები, რომ ეს პიროვნებები, რომლებიც დაახლოებული არიან პრემიერთან და მთავრობასთან, ახდენენ გავლენას ბიზნესზე, იგივე რკინიგზას ეხება?

– რაც შეეხება გავლენის სფეროების გადანაწილებას, მე არ გამაჩნია დოკუმენტური მტკიცებულება, ვეყრდნობი იმ მითქმა-მოთქმას, რომელიც გაჩნდა საზოგადოებაში, ეს უკვე დამაფიქრებელია, არ არსებობს პრობლემა, რომელსაც არ ჰქონდეს რაიმე საფუძველი. არსებობს ადამიანის უდანაშაულობის პრეზუმფცია, მაგრამ იმავე სოფლის მეურნეობის სამინისტროში რაც მოხდა, თუ ეს სასამართლომ დაამტკიცა, რომ უკანონობა ხდებოდა, მაშინ საქმე გვაქვს მონოპოლიასთან, ხელისუფლების ბოროტად გამოყენებასთან, ეს უკვე არის ეკონომიკური კორუფციის ნიშნების შემცველი. მეორე მხრივ, გვაქვს პოლიტიკური კორუფციის ნიშანი, როცა შს მინისტრის მოადგილე თავის მდგომარეობას იყენებს პირადი ინტერესებისთვის. ეს სიგნალები უკვე საგანგაშოა და სისტემა უნდა გაჯანსაღდეს, უნდა გადავხედოთ კანონმდებლობას, სტრუქტურებს, რომ ასეთი გადაცდომები არ იყოს ქვეყანაში, იმიტომ რომ შეუძლებელია, ერთმა კაცმა, პრემიერ-მინისტრმა, გააკონტროლოს თავისი ქვეშევრდომები.

– პრემიერ-მინისტრ ივანი შვილს არაერთხელ ჰქონდა ამ შვიდი თვის მანძილზე შეხვედრები ბანკირებთან და მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლებთან. წინასაარჩევნო კამპანიის დროს ყველა პოლიტიკური პარტიის პროგრამაში იყო დებულება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების შესახებ. ხელისუფლებამ ჯერ ვერ შეასრულა თავისი დაპირებები. რა ეშველება ამ სფეროს?

– დღეს მცირე ბიზნესი, რომელიც ფორმირების პროცესია, დარჩა ხელისუფლების პოლიტიკის მიღმა. ის, რაც პროგრამებში იყო დებულების სახით, ითვლება კარგ ტონად, მას აქვს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, იმიტომ რომ მცირე ბიზნესი – ეს არის ძლიერი საშუალო ფენა, ეს კი არის სოციალური სტაბილურობის გარანტი. ვთავაზობთ ხელისუფლებას, გადადგას ამ მიმართულებით ნაბიჯები. რა შეიძლება ეს იყოს? ჩვენ გამოვდივართ ინიციატივით, რომ შეიქმნას საქართველოს განვითარების ბანკი, რომელიც არ არის ორიენტირებული კომერციაზე, დეპოზიტებს მოქალაქეებისგან არ იღებს, რომ მას გადაუხადოს საპროცენტო განაკვეთი. ასეთი ბანკების საპროცენტო განაკვეთები დაბალია, ეს იქნება სახელმწიფოს ფინანსები, მეორე არის საერთაშორისო დახმარებები და გრანტები. არ შეიძლება, უბრალოდ მოქალაქეებს მისცე ფული, თუნდაც მცირე ბიზნესის წარმომადგენლებს. ეს კლავს პასუხისმგებლობას. კრედიტის აღებას აქვს ორი ძირითადი პრობლემა, ერთი ეს არის მაღალი საპროცენტო განაკვეთი, მეორეა კრედიტის აღების პროცედურა. იქ რაღაც უნდა დააგირავო და გამოცდილება უნდა გქონდეს. ამ პრობლემას აგვარებს საქართველოს განვითარების ბანკი. მცირე ბიზნესის წარმომადგენელს აძლევს კრედიტს დაბალი პროცენტით. გარანტორი არის სახელმწიფო. რისკი იმისა, რომ გაცემული კრედიტების ნაწილი დაიკარგოს, არის, მაგრამ, თუ ავწონ-დავწონით ამერიკისა და გერმანიის გამოცდილებას, ვნახავთ, რომ გაცილებით მეტია შედეგი, ვიდრე ის რისკი, რომელიც დაუბრუნებელ კრედიტებს ეხება. როცა კერძო ბიზნესი დღეს არის პასიურ მდგომარეობაში, მოლოდინის რეჟიმშია, მაშინ საჭიროა, რომ სახელმწიფო გააქტიურდეს. მილიარდობით ლარს ხარჯავდა სახელმწიფო ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, მაგრამ ამ სახელმწიფო შესყიდვებში ამ სახელმწიფოს მიერ ჩადებულ ფულს მიღმა რჩებოდა მცირე და საშუალო ბიზნესი. რამდენიმე გამარჯვებული ფირმის ხელში ხდებოდა ამ ფინანსური რესურსის თავმოყრა და არ ხდებოდა ამ ფულის გაჟონვა სხვა ბიზნესწრეებზე. აუცილებელია, რომ სახელმწიფო შესყიდვებში ჩართული იყვნენ მცირე ბიზნესის წარმომადგენლები, მიბმული იყვნენ მსხვილ ბიზნესთან და ცალკე კვოტა უნდა ჰქონდეთ გამოყოფილი. სამხრეთი კორეა ამ მიმართულებით წავიდა.

– დასავლური კურსის პარტიები შიშს გამოთქვამთ, რომ ადგილობრივი და არა მარტო ადგილობრივი, ასევე უცხოური ინვესტიციები საქართველოში არ შემოდის. ხომ არ არის ეს იმის მიზეზიც, რომ ჩვენი თანამდებობის პირები უპასუხისმგებლო განცხადებებს აკეთებენ და არ ჩანს, საგარეო კურსი რა მიმართულებით მიდის?

– ჯერ განვიხილოთ პოლიტიკური ასპექტი, როდესაც გამწვავებულია პოლიტიკური სიტუაცია ქვეყანაში. ეს ქმნის იმის შეგრძნებას, რომ არის პოლიტიკური არასტაბილურობა. არავის აქვს სურვილი, შემოვიდეს საქართველოში და ასეთ გარემოში ბიზნესი აკეთოს. ბიზნესმენს უნდა ჰქონდეს იმის განცდა, რომ ნებისმიერი ხელისუფლება, რომელიც მოდის, არის დემოკრატიული და ორიენტირებული საბაზრო სისტემაზე, დღეს ენერგეტიკის სფეროში შეინიშნება მსგავსი შიშები, არის საუბარი ეკოლოგიაზე, არის განხილვა რამდენად მართლზომიერად განხორციელდა ინვესტიცია. ბიზნესსექტორზე ეს ახდენს უარყოფით გავლენას. საქართველო საერთაშორისო ორგანიზაციების რეიტინგში საკმაოდ მაღალ პოზიციაზეა. სამწუხაროდ, ახალმა ხელისუფლებამ ამ რეიტინგების კრიტიკა დაიწყო. საერთაშორისო ორგანიზაციები საკანონმდებლო ბაზას ამოწმებენ.

– ძველი ხელისუფლება იღებდა განაცხადებს უცხოელი ინვესტორებისგან და ბიზნესის დაწყება იოლი იყო, მაგრამ შემდეგ უკვე გაგრძელება ჭირდა. ამაზე რას იტყვით?

– დიახ, ასეა, პროცედურები იოლი იყო, ზუსტად ამ რეიტინგებში ვიყავით მოწინავე ადგილზე, პრობლემა შემდეგ უკვე ბიზნესის განვითარებაზე იყო და ამაზე ჩვენც ვსაუბრობდით. ამ მიმართულებას სჭირდება ახლა მიხედვა. უნდა ავიღოთ ვალდებულება, რომ აღარ იქნება პრობლემა მონოპოლიებთან დაკავშირებით, საკუთრების უფლების დაცვასთან დაკავშირებით.

– განსაკუთრებით შესამჩნევი ეს გახდა სოფლის მეურნეობის სფეროში, რომ მომრავლდნენ ინვესტორები ინდოეთიდან, პაკისტანიდან, ჩინეთიდან, არაბული ქვეყნებიდან. ეს იწვევს ადგილობრივი ფერმერებისა და გლეხების უკმაყოფილებას. რას ურჩევდით ხელისუფლებას, როგორ უნდა დაარეგულიროს ეს პრობლემა?

– ადგილობრივი ფერმერული მეურნეობები არათანაბარ პირობებში არიან უცხოელებთან. ამ პრობლემის მოგვარებას ვცდილობთ განვითარების ბანკის მეშვეობით. გრძელვადიანი და დაბალპროცენტიანი სესხების აღების საშუალება იქნება. ვაუჩერი – ეს არის დროებითი საშუალება. შეზღუდვები არის რიგ ქვეყნებში. იურიდიულ პირებს, მაგალითად, დანიაში არა აქვთ უფლება, ჰქონდეთ მიწა კერძო საკუთრებაში. ესენი არიან მხოლოდ ფიზიკური პირები. ფერმერი იქ პროფესიაა, მიწის ფართობს აქვს შეზღუდვა, მცირემიწიანია დანია. ჩვენ შეგვიძლია, მიწები, რომლებიც სახელმწიფოს საკუთრებაშია, იჯარით გავცეთ, პირველ რიგში ადგილობრივ მეწარმეებზე, ჩვენ მოგვიწევს იმიგრაციული რეჟიმის დაწესება, რაც მიღებულია ევროპული ქვეყნების სტანდარტებში. უცხოელი ინვესტორისთვის უნდა იყოს პირობა, რომ პირველ რიგში უნდა დაასაქმოს ადგილობრივი ადამიანი. არის შემთხვევები, როცა მიწის კერძო მფლობელი ყიდის მიწებს უცხოელებზე.

– დასაქმება წინა ხელისუფლების პიარის ნაწილი იყო. მე ვიცი, რომ ედპ-ს ჰქონდა სპეციალური პროგრამა დასაქმებისა, რომელიც არც წინა ხელისუფლებამ მიიღო მხედველობაში და არც ამ ხელისუფლებამ.

– უპორტფელო პოსტი წინა ხელისუფლებამ შექმნა დასაქმების სამინისტროს სახით. სისტემურ მიდგომას ვთავაზობთ ხელისუფლებას, დასაქმების სააგენტო, იგივე შრომის ბირჟა როცა იქნება, უმუშევარი მივა იქ და დაფიქსირდება. უმუშევარმა უნდა აიღოს შემწეობა და გარანტია უნდა ჰქონდეს, რომ სახელმწიფო დაეხმარება დასაქმებაში. კანადა ერთ-ერთი წარმატებული ქვეყანაა დასაქმების თვალსაზრისით.

– ბოლოს ანალიზი იქნებ გააკეთოთ ამ მთავრობის შვიდი თვის მუშაობის შეფასებისა. ივანი შვილმა თქვა, რომ მესამე და მეოთხე წელი ამ ხელისუფლების მმართველობისა უფრო უკეთესი იქნება.

– ჩვენ საკუთარ კვლევებს კი არ ვეყრდნობით, არამედ საერთაშორისო კვლევებს, ასევე საქსტატისა და ეროვნული ბანკის მონაცემებს. იანვარში ევროპის განვითარების ბანკმა საქართველოს უწინასწარმეტყველა ხუთპროცენტიანი ზრდა, მაისში კი დასწია ეს ნიშნული და სამპროცენტიანი ზრდაა, რაც ნიშნავს ეკონომიკურ რეცესიას. ასე რომ, ყველაფერი კარგად არის, ჩემი აზრით, უპასუხისმგებლო განცხადებაა. როცა ამბობ, რომ ორი წლის შემდეგ ყველაფერი კარგად იქნება, ამას სჭირდება დოკუმენტური მტკიცებულება. იმედი უნდა გაჩნდეს, რომ ის, რასაც ბრძანებს პრემიერ-მინისტრი, არ არის უსაფუძვლო.

თბილისში 12 ათასი აცრაგამოტოვებული ბავშვი გვყავდა

მერი ნამორაძე

ინტერვიუ დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელ ამირან გამყრელიძესთან

– ბატონო ამირან, თქვენ განაცხადეთ, რომ თუ მაისის ბოლოსათვის წითელას გავრცელების მასშტაბები არ შემცირდებოდა, დამატებითი ვაქცინაცია გახდებოდა საჭირო უკვე 10-40 წლის ასაკის ადამიანებისთვის. როგორ შეაფასებთ ვითარებას. გახდება თუ არა საჭირო დამატებითი ვაქცინაციის ჩატარება?

– დამატებითი ვაქცინაცია გრძელდება 7 წლამდე ასაკის იმ ბავშვებისა, რომლებსაც გამოტოვებული ჰქონდათ ერთი აუცილებელი აცრა მაინც. მოგეხსენებათ, ორჯერ იცრებიან ბავშვები ჩვენი ეროვნული კალენდრის მიხედვით ერთი წლის და 5 წლის ასაკში. მარტის დასაწყისში, როდესაც დავიწყეთ ეს დამატებითი კამპანია, საქართველოში 36 ათასამდე აცრაგამოტოვებული 7 წლამდე ასაკის ბავშვი გვყავდა. ამიტომ, მთავრობის დადგენილების პირველ განკარგულებაში შევიდა, რომ აცრილიყო ყველა ეს ბავშვი და ყველა კონტაქტირებული. მერე დაემატა ამას სამედიცინო პერსონალი და ეს კამპანია გრძელდება დღესაც და ვაპირებთ კამპანია გაგრძელდეს კიდევ ორი თვით ივნის-ივლისი კიდევ.

– ანუ სხვა ჯგუფებიც დაემატება ასაცრელ კონტინგენტს?

– თუ მთავრობა მიიღებს გადაწყვეტილებას, ახალ დადგენილებაში არის პუნქტი, რომ სამინისტროსა და დაავადებათა კონტროლის ცენტრის გადაწყვეტილებით უნდა გაფართოვდეს ჯგუფები, თუ ამის საჭიროება იქნება. ვფიქრობ, აუცილებლობა გვექნება იმისა, რომ ჩატარდეს ქვეყანაში დიდი მასობრივი კამპანია წითელას საწინააღმდეგოდ, მაგრამ ამას სერიოზული მომზადება დასჭირდება. ახლა ვერ დავიწყებთ. ვფიქრობთ, ეს უნდა გაკეთდეს წელს გვიან შემოდგომას ან მომავალი წლის გაზაფხულზე, რადგან ჩვენი ანგარიშით 1,5 მილიონი ადამიანი არის ქვეყანაში დაბალი იმუნური ფენის. განსაკუთრებით, 10-დან 40 წლის ასაკის. ამიტომ არის, რომ წითელას ყველაზე მეტი შემთხვევები გვაქვს 20 წლის ასაკის ზევით. ბოლო მონაცემებით, 3497 შემთხვევა გვაქვს, აქედან 2200 ისევ თბილისშია კონცენტრირებული, დანარჩენი თითქმის ყველა რაიონშია გაშლილი. ყველაზე მეტი, როგორც გითხარით, არის 20-დან ზემო ასაკობრივ ჯგუფში.

– რატომ გაჩნდა ეჭვი საზოგადოებაში, რომ საქართველოში არსებული ლაბორატორიებიდან ხელოვნურად იქნა გავრცელებული წითელა?

– ეს ჭორი დიდი ხანია მუსირებს. უმაღლესი დონის ლაბორატორია, რომელიც ამერიკელების მხარდაჭერით აშენდა (ლუგარის ცენტრს ვგულისხმობ, რომელსაც რამდენჯერმე შეეცვალა სახელი, ჯერ იყო ცენტრალური რეფერალური ლაბორატორია, შემდეგ დაერქვა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის რეფერალური ლაბორატორია და შემდგომ გადაკეთდა ლუგარის სახელობის ჯანმრთელობის სამეცნიერო კვლევით ცენტრად), არის ნაწილი დიდი ქართულ-ამერიკული პროგრამის, რომელიც ქვეყანაში 2002 წლიდან ხორციელდება. პროგრამის ფარგლებში საქართველომ მიიღო სერიოზული დახმარება ორი მიმართულებით – ადამიანთა ჯანმრთელობის და ცხოველთა ჯანმრთელობის მიმართულებით. ამ 10 წლის განმავლობაში საქართველოში აშენდა ლაბორატორიული ქსელი განსაკუთრებით საშიში ინფექციების გამოვლენის, დიაგნოსტიკის, პრევენციის და პროფილაქტიკის მიზნით. ეს ქსელი მოიცავს 10 ლაბორატორიას ჯანმრთელობის სამინისტროს ქვეშ. აქედან 3 მეორე დონისაა – თბი-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

თბილისში 12 ათასი აცრაგამოტოვებული ბავშვი გვყავდა

დასაწყისი მე-5 გვერდზე

ლისში, ქუთაისსა და ბათუმში. 7 გახლავთ ე.წ. პირველი ანუ რაიონული დონის ლაბორატორიები, რომლებიც განლაგებულია ზუგდიდში, ფოთში, ამბროლაურში და ასე შემდეგ. დაახლოებით ასეთი ქსელი აქვს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რომელსაც 11 ასეთ ლაბორატორია გააჩნია. თბილისში აშენებულია უმძლავრესი, მესამე დონის ლუგარის სახელობის ლაბორატორია, სადაც ბიოუსაფრთხოების მესამე დონეა. ყველა პირობაა შექმნილი სერიოზული სამეცნიერო–კვლევითი სამუშაოების საწარმოებლად. მოარული ჭორი, რომ იქ ხელოვნურად გამოჰყავთ ზოგიერთი ვირუსი, ბაქტერია და ასე შემდეგ, ამაზე კომენტარის გაკეთება ზედმეტია. ამის არც პოტენციალი აქვს და არც დანიშნულება. როცა შიდსის ეპიდემია დაიწყო მსოფლიოში, მაშინ დადიოდა მოარული ჭორები, რომ შიდსი თითქოს ხელოვნურად გამოყვანილი ვირუსი იყო, რომელიც რომელიღაც სამხედრო ლაბორატორიიდან გაიპარა, მაგრამ შემდგომ აღმოჩნდა, რომ ეს ასე არ არის.

ახალი ბაქტერია, როგორც წესი, ევოლუციის გზით ჩნდება. ყოველწლიურად მსოფლიოში ერთი ახალი ინფექციური დაავადების, განსაკუთრებით ვირუსული წარმოშობის ინფექციური დაავადების გავრცელება მაინც ფიქსირდება. მაგალითად, ახლა მიმდინარეობს ახალი ეპიდემია ფრინველებში, რომელიც გრიპის ახალი სახეობის, ფრინველის ახალი სახეობითაა გამოწვეული, ე.წ „ეიჩ-7, ენ-9“ შტამი, რომელიც ჯერ მხოლოდ ჩინეთშია ლოკალიზებული და 140-მდე ადამიანზე გადავიდა. ეს არის ფრინველის ვირუსი, რომელიც სახეობრივი ბარიერის გამო, როგორც წესი, ადამიანზე არ გადადის, მაგრამ თუ ძალიან ახლო და ხშირი შემხებლობაა ადამიანებთან, შეიძლება ადამიანიც დააზიანოს. მას მაღალი ლეტალობა აქვს და ამ 140 ადამიანიდან 27 უკვე დაიღუპა. ეს ხდება მიკრობთა და ვირუსთა ევოლუციის გზით. ასევე მოხდა შიდსთან დაკავშირებით თავის დროზე. ამიტომ საუბარი იმაზე, რომ ხელოვნურ პირობებში, მით უმეტეს ჩვენთან, საქართველოში, ეს ხდება, ზედმეტია. კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ლაბორატორია, რომელზეც საუბარია, არის ძალიან მაღალი დონის ლაბორატორია, სადაც თითქმის ყველა აპრობირებული მეთოდია სხვადასხვა ინფექციებთან მუშაობის, ეს იქნება სეროლოგიური, მიკრობიოლოგიური, ვირუსოლოგიური თუ გენეტიკური.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის შენობაში განთავსებული არის ბიოუსაფრთხოების მეორე დონე, ლუგარის ცენტრში უკვე მესამე დონეა – ადამიანები, რომლებიც მუშაობენ ამ ინფექციებთან, სრულად დაცულნი და გარანტირებულნი არიან, რომ არავითარი საშიშროება არ ემუქრებათ. ამავე დროს იქ არის გენომის გაშიფვრის ცენტრი, ეს უნიკალურია და კავკასიაში ამ დონის ცენტრი არ არსებობს. ჯერ ვიწყებთ მუშაობას სხვადასხვა ბაქტერიების გენომის გაშიფვრაზე და მომავალში იქნება ადამიანის გენომზე მუშაობის საშუალება. ეს უნიკალური შესაძლებლობაა ქვეყანაში ბიო-სამედიცინო მეცნიერებების კიდევ უფრო მეტად განვითარებისთვის.

– კონკრეტულად რა კვლევები დაიგეგმება უახლოეს მომავალში ლუგარის სახელობის ცენტრში?

– ლაბორატორია მთლიანად გადმოდის დაავადებათა კონტროლის ცენტრის მმართველობაში. ჩვენ გვექნება უკეთესი შესაძლებლობები სხვადასხვა კვლევების წარმოებისა ინფექციური თუ არაგადამდები დაავადებების კუთხით. ამავე დროს, ამ ლაბორატორიებში იქნება სერიოზული კოორდინირებული მუშაობა ამერიკულ ლაბორატორიულ ინსტიტუციებთან, რომლებიც მეცნიერების დარგში ჩვენი ძირითადი დამფინანსებლები არიან. ერთ-ერთი მთავარი მიმართულება იქნება ნოზოკომიური ინფექციებისა და ანტიმიკრობული რეზისტენტობის კვლევა. ნოზოკომიური გახლავთ ის ინფექციები, რომელსაც ადამიანი იძენს სამედიცინო დაწესებულებაში ყოფნისას. ანტიბაქტერიული რეზისტენტობა კი მსოფლიოს გლობალური ჯანმრთელობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემა გახლავთ. იცით, რომ ძალიან ბევრი ანტიბიოტიკი ვეღარ მოქმედებს მიკრობზე, რადგან გამომუშავებულია რეზისტენტობა. მაგალითად, ტუბერკულოზთან მიმართებაში დიდი პრობლემაა მულტირეზისტენტული ტუბერკულოზი. ამასთან დაკავშირებით სერიოზული ერთობლივი პროექტი იწყება ქვეყანაში, სადაც მონაწილეობს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია, აშშ-ს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი და ამერიკის რამდენიმე უნივერსიტეტი.

– საშიში ინფექციების კოლექცია ლუგარის ცენტრში განთავსდა?

– დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი ერთადერთი ადგილია, სადაც ინახება ყველა საშიში ინფექციის კოლექცია, რომელიც საქართველოში ოდესმე აღმოჩენილა. ეს არის ე.წ. რეპოზიტორიუმი, სადაც თითქმის ყველა შტამი, რომელიც ქვეყანაში ბოლო 50 წლის განმავლობაში აღმოჩენილა, ინახება სპეციპირობებში. ეს შტამები აუცილებელია სხვადასხვა დაავადებების ევოლუციის შესასწავლად. ამავე დროს ისინი უნიკალურია სხვადასხვა სამედიცინო კვლევებისასა, ვადარებთ, სხვადასხვა დაავადებების ეპიდაფეთქებისას რა როგორ ვლინდება, ძველად როგორი იყო მისი გენეტიკური სტრუქტურა და ასე შემდეგ. ეს შტამები, რომლებიც მუზეუმში ინახება, საჭიროებენ სერიოზულ დაცვას, მათი გაყინვა დაუშვებელია. ამიტომ ლუგარის ცენტრში გადატანა აუცილებლად მოხდება, რადგან იქ ბევრად უკეთესი პირობებია მათ დასაცავად. ამ შტამების დაცვა მოითხოვს სწორედ ბიოუსაფრთხოების მესამე დონეს.

დაავადებათა კონტროლის ცენტრში სერიოზული ლაბორატორიები გვაქვს. მათ შორის სამი – პოლიომიელიტის, გრიპის და წითელა-წითურას ლაბორატორია არის ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ აკრედიტირებული, რაც ნიშნავს, რომ მათ დასკვნებს ცნობს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია. ესენი ნელ-ნელა, თვენახევარში გადავა ლუგარის ცენტრში.

– ბატონო ამირან, დავუბრუნდეთ ისევ წითელას და იმუნიზაციას. რამდენად დამაკმაყოფილებელია დამატებითი ვაქცინაციის პროცესი?

– არ ვართ ამ პროცესით კმაყოფილი და მოვუწოდებ მოსახლეობას აცრისკენ. დამატებითი კამპანიის ფარგლებში აცრილი გვყავს 31 ათასზე ოდნავ მეტი ადამიანი. აქედან, აცრაგამოტოვებული ბავშვია 10 294. 36 ათასი აცრაგამოტოვებული ბავშვიდან აცრილია 10 ათასზე ოდნავ მეტი. მათ შორის თბილისში 12 ათასი აცრაგამოტოვებული ბავშვი გვყავდა და მხოლოდ 7 133 ბავშვია აცრილი.

– რატომ იკავებს თავს მოსახლეობა აცრისგან?

– ეს არის გაუთვითცნობიერებლობა, ნიჰილისტური დამოკიდებულება ვაქცინაციისადმი, როგორც მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ჯანდაცვითი ინტერვენციის მიმართ. არ დავმალავ და ვიტყვი, ეს არის ზოგიერთი ჩემი კოლეგის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება ამ პროცესის მიმართ. ეს არის ასევე შედეგი მოშლილი იმუნიზაციის ჯაჭვისა, რაც მივიღეთ პირველადი ჯანდაცვის ობიექტების მასობრივი პრივატიზაციის შედეგად. მფლობელ კომპანიებს ნაკლებად აინტერესებთ იმუნიზაცია. ამიტომ დავაყენეთ საკითხი სამინისტროს წინაშე, რომ აღვადგინოთ იმუნიზაციის სისტემის ვერტიკალური ჯაჭვი.

– რას გულისხმობთ?

– ეს ნიშნავს ორ საკითხს, რომ ბავშვს ჰქონდეს საშუალება აიცრას ყველა იმ დაწესებულებაში, სადაც თავიდან იყო მიმაგრებული და არა იქ, სადაც ახლა აგზავნის სადაზღვევო კომპანია. იმიტომ, რომ სადაზღვევო კომპანიებმა შეამცირეს იმ დაწესებულებათა რიცხვი, პოლიკლინიკები, რომლებთანაც კონტრაქტს აფორმებენ. თბილისში დამატებითი ვაქცინაციისას ჩვენ დამატებით კონტრაქტი გავუფორმეთ 40-მდე დაწესებულებას, როცა თბილისში სადაზღვევო კომპანიებს დაკონტრაქტებული აქვთ 10-15 დაწესებულება. ამავე დროს, ყველა აცრაში პოლიკლინიკებს დამატებით ვუხდით ერთ ლარს. ასევე იმუნიზაციის ახალ პროგრამაში, რომელიც ივნის-ივლისში დაიწყება, თითოეულ აცრაში რაღაც მოტივაცია იქნება. ანუ უნდა აღვადგინოთ მიმაგრების პრინციპი და ფინანსური მოტივაცია. პრობლემა ძირითადად დიდ ქალაქებში გვაქვს, სადაც მრავალია სამედიცინო დაწესებულება. რაიონებში, სადაც ერთი სამედიცინო დაწესებულებაა, რა თქმა უნდა, მოცვა უკეთესი გვაქვს, მაგრამ მოტივაცია იქაც სჭირდებათ და საგანმანათლებლო მუშაობა იქაც არის საჭირო.

ამაზე უკეთესი საზოგადოებრივი ინტერვენცია კაცობრიობას ჯერ არ მოუგონია. იმუნიზაციამ გადაარჩინა მილიონობით ადამიანის სიცოცხლე და იცავს მილიონობით ადამიანის სიცოცხლეს. ამიტომ მოვუწოდებთ მშობლებს, ეროვნული კალენდრით გათვალისწინებული ვაქცინაცია ჩაუტარონ ბავშვებს.

ბევრი ფული კომპანია „ნატახტარისგან“

ტრადიციული გათამაშება რეკორდული საპრიზო ფონდით დაიწყო

წლევანდელი გათამაშება 15 მაისიდან დაიწყო და 15 ივლისამდე გაგრძელდება. გათამაშებაში მონაწილეობა მარტივია, ადგილზე შეგიძლიათ გახსნათ ლუდი ნატახტარის ნებისმიერი მოცულობის პეტის (პლასტმასის) შეფუთვა და თაავსახურში მოთავსებულ კაფსულაში აღმოაჩინოთ 10, 20, 50, 100 ან 200 ლარიანი კუპიურა.

კომპანია ნატახტარი აგრძელებს ტრადიციას და მომხმარებელს ინოვაციურ გათამაშებას სთავაზობს. წამახალისებელი გათამაშება, რომელიც ტრადიციულ ხასიათს ატარებს, წელს უკვე მეხუთედ იმართება.

ასევე ყველა ზომის შეფუთვაში, გარდა ქილისა (0.5 ლიტრი მოცულობის შუშის ბოთლში, 1-ლიტრიან, 2-ლიტრიან და 2.5-ლიტრიან პლასტმასის ბოთლებში) თქვენ შეგიძლიათ აღმოაჩინოთ ლაზერით დაბეჭდილი მომგებიანი თავსახურები: სუპერ პრიზი – 50.000 ლარი. გათამაშებაშია 300.000 ცალი უფასო 0,5 ლიტრიანი შუშის ბოთლი ნატახტარი.

სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ კომპანია „ნატახტარმა“ წამახალისებელი გათამაშების შესახებ პრესკონფერენცია გამართა. ლუდის ქართული ბაზრის ლიდერი კომპანიის ახალ პროექტის თაობაზე „ნატახტარის“ მარკეტინგის დირექტორმა თორნიკე ნიკოლაიშვილმა ისაუბრა:

– პრესკონფერენციის მიზანია საზოგადოებას სიახლის შესახებ მედიის საშუალებით შევატყობინოთ. უნდა ავღნიშნოთ, რომ საპრიზო ფონდი ყოველწლიურად იზრდება და გათამაშება უფრო ინოვაციური ხდება. ყველა ბოთლი, რომელიც გათამაშებაში მონაწილეობს, ახალი შეფუთვით გამოდის, რათა მომხმარებელი შეცდომაში არ შევიდეს. შუშის ბოთლის საყელოზე არის წარწერა, რომ ბოთლი მონაწილეობს გათამაშებაში, პეტის ბოთლებსაც ახალი საყელოაქვთ და ჩვენი გათამაშების ლოგოა გამოსახული. ყველაზე ინოვაციური ის არის, რომ მოგება ხდება მყისიერად – ფული დევს თავსახურში არსებულ კაფსულაში. თუ ასეთ კაფსულას იპოვით, ჩათვალეთ რომ გარკვეული თანხა მოიგეთ. და ეს ხდება ყოველგვარი ბარიერების გარეშე. გარდა ამისა, გათამაშებაშია 300.000 უფასო ლუდი 0,5 ლიტრი მოცულობის. და ბოლოს: დიდი პრიზი – 50.000 ლარი. რადგან ეს თანხა კაფსულაში ფიზიკურად ვერ ჩაეტევა, მისი მოგების შემთხვევაში თავსახურზე იპოვით ლაზერით ამოტვიფრულ წარწერას. რაც მთავარია, 24 საათის განმავლობაში იმუშავებს ცხელი ხაზი. თუკი მომხმარებელს რამე პრობლემა შეექმნება, შეუძლიათ დაგვიკავშირდნენ და შესაბამის რეაგირებას მყისიერად მოვახდენთ.

– როგორ ხდება მომგებიანი ბოთლების გადანაწილება და თუ იქნება გათამაშება რეგიონებშიც?

– თავსახურების გადანაწილება ხდება შემთხვევითი პრინციპით, პროცედურულ სიზუსტეს აკონტროლებს სპეციალური კომისია. რა სიხშირითაც ხდება წარმოება, იმ სიხშირით ნაწილდება თავსახურებიც. ცხადია, გათამაშება რეგიონებშიც იქნება. მაგალითისთვის, შარშან მთავარი პრიზი, 50.000 ლარი რუსთავში გათამაშდა.

– მოგებულ თანხას მომხმარებელი სრულად იღებს თუ იბეგრება?

– გათამაშებაში მონაწილე თანხები უკვე დაბეგრილია და მომხმარებელი მას წმინდა ოდენობით იღებს ანუ, როდესაც ვაცხადებთ, რომ გათამაშებაშია 50.000 ლარი ეს ნიშნავს, რომ მოგებული ამ თანხას სრულად მიიღებს და ამ თანხაზე დაკისრებულ გადასახადს გადაიხდის კომპანია.

– თუ შეიძლება მოხდეს, რომ მთავარი პრიზი არ გათამაშდეს. მაგალითად მყიდველმა გადააგდოს თავსახური...

– ამის დაცვის მექანიზმი არ არსებობს. მაშინ ჩვენც უნდა ვიცოდეთ, თუ რომელი ბოთლია მომგებიანი. თუმცა, აქამდე ჯერ მსგავსი შემთხვევა არ ყოფილა. მხოლოდ 2-3 წლის წინ მოხდა, რომ 2-ჯერ დაიკარგა 1.000-ლარიანი მოგება.

– თუ არის შესაძლებელი გამოჩნდეს კაფსულა, რომელიც ბოთლშია მოთავსებული?

– კომპანიას, რომელსაც ამ გათამაშების საავტორო უფლება გააჩნია, ყველა დაცვითი მექანიზმი აქვს გამოყენებული. პირველ რიგში, ვერ დაინახავთ, რადგან საყელო ფარავს. ასეც რომ არ იყოს, კაფსულა ისეთი ფერის არის, რომელიც შეხამებულია თავსახურთან და გარჩევა შეუძლებელია.

– მომგებიანი ბოთლები თუ არის უკვე ქსელში?

– გათამაშება 15 მაისს დაიწყო და ბოთლები უკვე ქსელშია გასული. მთავარია შეიძინოთ ის ბოთლი, რომელიც გათამაშებაში მონაწილეობს.

მოგების ან გათამაშების შესახებ ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ სპეციალურად გათამაშებისთვის შექმნილ ცხელ ხაზზე – 2 550 700 ან მიაკითხოთ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, წერეთლის 87 ა, სს „ლომისის“ თბილისის ოფისი.

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

ს.ს "ინვესტბანკის" აქციონერებს, სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორატს:

ჩვენ ჩავატარეთ სააქციო საზოგადოება „ინვესტბანკის" თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მოგება–ზარალის ანგარიშს, ფულადი სახსრების მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშებს 2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის და ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითად პრინციპებსა და სხვა ახსნა–განმარტებით შენიშვნებს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს ს.ს „ინვესტბანკის" ფინანსურ მდგომარეობას, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადის სახსრების მოძრაობას და კაპიტალში ცვლილებებს 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პასუხისმგებლობა მოიცავს სათანადო სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და გამოყენებას და გარემოებრივად დასაბუთებული სააღრიცხვო შეფასებების განხორციელებას.

ბანკში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას. სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებას საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად. თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებას და დროულად აღმოჩენას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენდამი დაკისრებულ პასუხისმგებლობას წარმოადგენს, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით, ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაფუძნებული დასკვნის წარმოდგენა. ჩვენს მიერ აუდიტი ჩატარებულ იქნა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტების საფუძველზე გვაკისრია, ეთიკური ნორმების დაცვით, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი მცდარი მონაცემების არარსებობის დადასტურების უზრუნველყოფის მიზნით მოცემული აუდიტის დაგეგმვისა და ჩატარების ვალდებულება.

აუდიტი მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და ინფორმაციის შესახებ აუდიტორული მონაცემების მოპოვების მიზნით, შესაბამისი პროცედურების ჩატარებას. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიონალურ მსჯელობაზე ფინანსური ანგარიშგების გაყალბებისა თუ ცდომილების საფუძველზე არსებითი მცდარი წარმოდგენის რისკების შეფასების ჩათვლით. ამგვარი რისკების შეფასებისას, აუდიტორის მიერ განხილულ იქნა შიდა კონტროლის სისტემა, რომელიც დაკავშირებულია მოცემული სუბიექტის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და ჯეროვნად წარმოდგენასთან, არსებული გარემოებებისადი შესაბამისი აუდიტორული პროცედურების შემუშავების და არა სუბიექტის შიდა კონტროლის სისტემის ეფექტურობის შესახებ დასკვნის წარმოდგენის მიზნით. აუდიტი, ასევე, მოიცავს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობისა და სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობის, ასევე როგორც ფინანსური ანგარიშგების საერთო წარმოდგენის შეფასებას.

ჩვენი მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ საკმარის და მართებულ საფუძველს გვაძლევს დასკვნის გასაკეთებლად.

დასკვნა

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა ძირითად ასპექტებთან მიმართებაში, სამართლიანად ასახავს ბანკის ფინანსურ მდგომარეობას 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებს და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

გარდა, ბანკის მიერ განსხვავებული ტარიფებით მიღებულ საკომისიო შემოსავლებისა, რადგან კლიენტებისაგან სრულად არ იქნა მიღებული ნაშთებზე დასტური, ჩვენი აზრით არ ვფლობთ საკმარის მტკიცებულებას, რათა გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება ამ შემოსავლების თაობაზე. საყურადღებოდ ვთვლით, აგრეთვე ბანკის ნეგატიურად კლასიფიცირებულ საკრედიტო პორტფელს.

ლევან ქისტაური

შპს „ბიზნესის მართვის ბიურო"
დირექტორი

ინა რაზმაძე

აუდიტორი

თბილისი, 14 მაისი 2013წ

ს.ს "ინვესტბანკი"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარებში)	შენიშვნა	31.12.2012	31.12.2011
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	5	3187	1601
სავალდებულო ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში		3009	366
სახსრები სხვა ბანკებში		11869	9330
დეპოზიტები ბანკის ზარათების და გარანტიების მიხედვით	5	2116	–
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	6	–	296
სესხები და ავანსები კლიენტებისადმი	7	5648	3361
გადავადებული საგადასახადო აქტივი	17	27	56
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	8	2957	905
სხვა აქტივები	9	283	393
სულ აქტივები		**29096**	**16308**
ვალდებულებები			
კლიენტთა სახსრები	10	15937	3295
სხვა ბანკების დეპოზიტები	11	–	1675
სხვა ვალდებულებები	12	95	88
სულ ვალდებულებები		**16032**	**5058**
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	13	17120	17120
დანამატი აქციის კურსზე		100	100
საერთო რეზერვი		350	350
გაუნაწილებელი მოგება/ ზარალი		(4506)	(6320)
სულ კაპიტალი		**13064**	**11250**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**29096**	**16308**

ს.ს "ინვესტბანკი"
INVESTBANK
204447349

გიორგი გზირიშვილი
გენერალური დირექტორი

ეკა ლაპიაშვილი
მთავარი ბუღალტერი

ს.ს "ინვესტბანკი"

მოგება-ზარალის ანგარიში 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარებში)	შენიშვნა	31.12.2012	31.12.2011
საპროცენტო შემოსავალი	14	643	1518
საპროცენტო ხარჯი	14	(167)	(290)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		**476**	**1228**
სესხების/აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვი		(1413)	(376)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი საკრედიტო პორტფელის გაუფასურებაზე რეზერვის შექმნის შემდეგ		**(345)**	**852**
საკომისიო შემოსავალი	15	4951	433
საკომისიო ხარჯი	15	(1327)	(310)
მოგება/ზარალი ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან		2983	128
მოგება/ზარალი უცხოური ვალუტის გადაფასებიდან		(17)	(233)
სხვა საოპერაციო შემოსავლები		26	120
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	16	(4255)	(2262)
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი		2361	(2124)
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე		**2016**	**(1272)**
მოგების გადასახადის ხარჯი		–	–
გაცემები წმინდა მოგებიდან		(260)	(20)
წმინდა მოგება/ზარალი		**1756**	**(1292)**

ს.ს "ინვესტბანკი"
INVESTBANK
204447349

გიორგი გზირიშვილი
გენერალური დირექტორი

ეკა ლაპიაშვილი
მთავარი ბუღალტერი

მაია ფანჯიკიძე ევროსაბჭოს გენერალურ მდივანს შეხვდა

ნათია ხურცილავა

საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ ევროსაბჭოს გენერალურ მდივანთან გამართა შეხვედრა. ევროსაბჭოს გენერალური მდივნის ტორბიორნ იაგლანდის განცხადებით, ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ ევროსაბჭოს ურთიერთობები საქართველოსთან გაუმჯობესდა.

– მე უკვე არაერთი შეხვედრა მქონდა საქართველოს ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებთან. სტრასბურგში განხორციელდა საქართველოს პრემიერ-მინისტრის ძალიან წარმატებული ვიზიტი. მე ასევე შევხვდი საქართველოს იუსტიციის მინისტრს, რომელმაც ქვეყანაში მიმდინარე მნიშვნელოვანი რეფორმები გამაცნო. დღეს კი შეხვედრა გავმართე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან. ეს იყო ძალიან კონსტრუქციული შეხვედრა, – აღნიშნა ევროსაბჭოს გენერალურმა მდივანმა.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით კი შეხვედრაზე ისაუბრეს საქართველოსა და ევროსაბჭოს შორის ბოლო დროს განვითარებულ კონსტრუქციულ თანამშრომლობაზე.

– შეხვედრაზე ვისაუბრეთ იმის თაობაზე, რომ მივიღებთ ევროპის საბჭოსგან სამოქმედო გეგმას, რომელიც იქნება სამ წელიწადზე და რომელიც საქართველოს საშუალებას მისცემს, განახორციელოს ერთობლივი პროექტები რამდენიმე მიმართულებით. ეს მიმართულებებია ადამიანის უფლებების დაცვა, დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება, კანონის უზენაესობა და აგრეთვე, კონფლიქტის მოგვარების საკითხშიც იქნება ერთობლივი პროექტები. საქართველოს პარლამენტში უკვე გადაგზავნილია რატიფიცირებისთვის ევროპის საბჭოს ოფისის საკითხი, რომელიც ბოლო პერიოდის განმავლობაში იყო პრობლემა. ყოველივე ეს არის მაჩვენებელი იმისა, რომ ჩვენი თანამშრომლობა არის ძალიან კონსტრუქციული და, დარწმუნებული ვარ, ეს თანამშრომლობა ძალიან ბევრ დადებითს მოუტანს ჩვენს ქვეყანას, – განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ.

სტრასბურგში ასევე ხელი მოეწერა ევროპის საბჭოს კონვენციის დამატებით ოქმს „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“.

ევროსაბჭოს გენერალური მდივნის ტორბიორნ იაგლანდის განცხადებით, კონფლიქტი საქართველოში ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის დღის წესრიგშია ყოველ კვირას.

როგორც პრესისთვის გახდა ცნობილი, აღნიშნული განცხადება მან სტრასბურგში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ მაია ფანჯიკიძესთან გამართული შეხვედრისას გააკეთა.

– ევროპის საბჭო აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და, რა თქმა უნდა, ეს არის საფუძველი საქართველოსთან ჩვენი ურთიერთობის. კონფლიქტი საქართველოში ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის დღის წესრიგშია ყოველ კვირას. ჩვენ გავაგრძელებთ საქართველოში კონფლიქტის შესახებ კონსოლიდირებული მოხსენების წარმოდგენას წელიწადში ორჯერ და ეს მოხსენება ძალიან მალე იქნება წარმოდგენილი. ეს კონფლიქტი ნამდვილად არის დღის წესრიგის ნაწილი, მაგრამ, ამავე დროს, მინდა, აღვნიშნო, რომ ძალიან კარგია, რომ ჩვენ ერთად შეგვიძლია მივიღოთ ძალიან კონსტრუქციული ზომები და ჩვენი საქმიანობით ხელი შევუწყოთ ჟენევაში მიმდინარე პროცესებს, – განაცხადა ტორბიორნ იაგლანდმა.

საგარეო უწყების ხელმძღვანელმა კი ხაზი გაუსვა იმ ფაქტის მნიშვნელობას, რომ საქართველოს საკითხი ყოველთვის აქტუალური იქნება ევროპის საბჭოს სამუშაო პროგრამაში.

– საქართველოს საკითხი, დასახელებით – „ევროპის საბჭო და კონფლიქტი საქართველოში“ იქნება ევროსაბჭოს ყოველკვირეული შეხვედრების მთავარი შემადგენელი ნაწილი. გარდა ამისა, წელიწადში ორჯერ იქნება წარმოდგენილი გენმდივნის კონსოლიდირებული მოხსენება, – განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა.

საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ მიმართა ევროპის საბჭოს 123-ე მინისტერიალის მონაწილეებს სიტყვით.

როგორც საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ დავით ზალკალიანმა სამინისტროში გამართულ ტრადიციულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, მაია ფანჯიკიძე საკუთარ მოხსენებაში, სხვა თემასთან ერთად, ყველა იმ მწვავე საკითხს შეეხო, რომელიც საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციას უკავშირდება, ასევე, გენერალური მდივნის კონსოლიდირებული მოხსენებების პრაქტიკის გაგრძელებისა და ევროპის საბჭოს პოლიტიკურ დღის წესრიგში საქართველოს საკითხის შენარჩუნების მნიშვნელობაზე გააკეთა აქცენტები.

ზალკალიანის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში კონფლიქტის საკითხი ვერ მოხვდა წლევანდელი მინისტერიალის დღის წესრიგში და ეს არ არის პირველი შემთხვევა, საქართველოს თემა მუდმივად იქნება ევროპის საბჭოს მუშაობის დღის წესრიგში.

ავღანეთში დაღუპულ ქართველებს ნატოს წარმომადგენლებმაც მიაგეს პატივი

ნათია ხურცილავა

ნატო-ს შტაბ-ბინაში შტაბის უფროსების დონეზე ნატო-ს სამხედრო კომიტეტის 169-ე შეხვედრა გაიმართა.

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ნატო-ს წევრი და პარტნიორი ქვეყნების სამხედრო მაღალჩინოსნების შეხვედრას საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი ირაკლი ძნელაძე ესწრება.

ორდღიანი კონფერენციის მონაწილეები ავღანეთის საერთაშორისო მისიის მიმდინარეობასა და დაგეგმარების შესახებ საუბრობენ.

როგორც ცნობილია, შტაბის უფროსები ალიანსის განსაკუთრებულ პარტნიორებთან – საქართველოსთან, უკრაინასა და რუსეთთან სამხედრო თანამშრომლობისა და რეგიონული უსაფრთხოების საკითხებზე იმსჯელებენ.

როგორც პოლკოვნიკმა ძნელაძემ აღნიშნა, დასრულების სტადიაშია 2014 წლის შემდგომი ავღანეთის ოპერაციის კონცეფციის შემუშავება, რომელიც ძირითადად ავღანური უსაფრთხოების ძალების გაწვრთნას, მომზადებასა და მათთვის ოპერაციის რაიონზე კონტროლის გადაბარებას ითვალისწინებს.

ნატო-ს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელ უილიამ ლაჰიუს განცხადებით, ალიანსი აფასებს იმ თავგანწირვას, რომელსაც ქართველი ჯარისკაცები იჩენენ.

აღნიშნული განცხადება სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელმა გუშინ თბილისის საერთაშორისო აეროპორტში გააკეთა, სადაც ავღანეთიდან სამი ქართველი სამხედრო ჩამოასვენეს.

– ჩვენ აქ ვიმყოფებით იმისთვის, რომ პატივი მივაგოთ ავღანეთში დაღუპულ მებრძოლებს. მათ თავი გაწირეს არა მხოლოდ საქართველოს, არამედ ნატო-ს ალიანსისა და მთელი მსოფლიოს უსაფრთხოებისთვის. ჩვენთვის დიდი პატივია, რომ დღეს აქ ვართ. ვაფასებთ იმ თავგანწირვას, რომელსაც ქართველები იჩენენ, – განაცხადა ლაჰიუმ.

როგორც ცნობილია, 15 მაისს ავღანეთში ქართულ სამხედრო ბაზაზე განხორციელებული ყველაზე მასშტაბური თავდასხმის შედეგად სამი ქართველი ჯარისკაცი – კაპრალი ალექსანდრე კვინწიაძე, უმცროსი სერჟანტი ზვიად დავითაძე და კაპრალი ვლადიმერ შანავა დაიღუპნენ, 27 კი დაიჭრა.

ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოადგილის ბრიჯიტ ბრინკის განცხადებით, ამერიკა მადლიერია იმისთვის, რასაც ქართველი ჯარისკაცები ავღანეთის უსაფრთხოების გასაძლიერებლად აკეთებენ.

ამის შესახებ მან თბილისის საერთაშორისო აეროპორტში განაცხადა, სადაც ავღანეთიდან სამი ქართველი სამხედროს ცხედარი ჩამოასვენეს.

– ჩემი ქვეყნის, აშშ-ის ელჩის სახელით მინდა, სამძიმარი გამოვუცხადო სერჟანტ დავითაძის, კაპრალ კვინწიაძისა და კაპრალ შანავას ოჯახებს. მათი თავგანწირვა შეუფასებელია. შეერთებული შტატები მადლიერია იმისთვის, რასაც საქართველო და ქართველი ჯარისკაცები აკეთებენ ავღანეთის უსაფრთხოების გასაძლიერებლად. ეს ძალიან მნიშვნელოვანია ავღანეთისთვის, საქართველოსთვის და მთელი მსოფლიოსთვის. ამ ადამიანთა ოჯახებსა და ქართველ ხალხს ასევე თანადგომას

უცხადებენ თავდაცვის მდივანი ჰეიგელი და სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი, – განაცხადა ბრიჯიტ ბრინკმა.

ფილიპ დიმიტროვი აბრეშუმის გზის მნიშვნელობაზე ალაპარაკდა

ნათია ხურცილავა

საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის, ელჩ ფილიპ დიმიტროვის განცხადებით, აბრეშუმის გზა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ეკონომიკური განვითარების, არამედ პოლიტიკური გამოწვევების გადაჭრის თვალსაზრისთაც.

ამის შესახებ დიმიტროვმა გუშინ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტისა და ცენტრალური აზიისა და კავკასიის კვლევითი ინსტიტუტის ეგიდით მიმდინარე კონფერენციაზე – „აზიისა და ევროპის დაკავშირება: რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაცია სამხრეთ კავკასიასა და აზიაში“ სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

– ევროკავშირისთვის მნიშვნელოვანია, როდესაც საუბარია აბრეშუმის გზაზე, ვინაიდან ამ გზის მეორე მხარეს არის ევროპა. აბრეშუმის გზას მნიშვნელობა აქვს არა მარტო ეკონომიკური განვითარების, არამედ პოლიტიკური გამოწვევების გადაჭრის მიზნითაც. ჩვენ ვთანამშრომლობთ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან როგორც რეგიონული თანამშრომლობის ჭრილში, ისე ინდივიდუალურად. მნიშვნელოვანია, რომ ინდივიდუალური მიდგომა გლობალურს შეერწყას, – აღნიშნა დიმიტროვმა.

მან ისაუბრა აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამაზე და ასოცირების, მათ შორის, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებების გაფორმებაზე საქართველოსთან. ასევე ელჩმა იმედი გამოთქვა, რომ ასეთი ხელშეკრულება მოლდოვასთან და სომხეთთან გაფორმდება.– ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულება ხელს შეუწყობს სავაჭრო ბარიერების აღმოფხვრას. ვიმედოვნებთ, რომ ვიხილავთ შესაბამის დარგობრივ რეფორმებს, რაც გულისხმობს, მათ შორის, კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ევროკავშირის კანონმდებლობასთან, – განაცხადა დიმიტროვმა.

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.



საბანკო რეკვიზიტები:
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000

თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

განცხადებები

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრეგზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● უცხოეთში კვალიფიციური პროფესიონალი ექიმი გთავაზობთ სხეულის კორექციას ვაკუუმ მასაჟის მეთოდით, გამანჯასაღებელ, სარელაქსაციო, შოკოლადის მასაჟს. შეიძლება ბინაზე მომსახურებაც. 599 48 66 39; 558 57 68 06

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მოგიხსნით ნეგატიური ზემოქმედებით გამოწვეულ პრობლემებს ფოტოსურათით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, აფორიაქებას, დაძაბულობას, შებოჭილობას, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423

ზესტაფონსა და ბათუმში გულშემატკივრებმა აქციები გამართეს

საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის“ გულშემატკივართა კლუბის ინიციატივით ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის სამმართველოს შენობასთან მშვიდობიანი აქცია გაიმართა, რომლის მიზანიც საფეხბურთო კლუბის წინაშე არსებული პრობლემების მოგვარებაში ქარხნის ჩართვის მოთხოვნა გახლდათ.

როგორც მოგეხსენებათ, ზესტაფონის რაიონში მოქმედი სამრეწველო გიგანტის დღევანდელ მფლობელთა გადაწყვეტილებით, ქარხანა ადგილობრივ ფეხბურთს აღარ ეხმარება. მშვიდობიანი აქციის მონაწილეებმა შექმნილი ვითარება გააპროტესტეს და ქარხნის ხელმძღვანელობას გადასცეს მოთხოვნა ვითარების სასწრაფოდ გამოსწორებისა და საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის“ სათანადო თანადგომის შესახებ.

აქციის მონაწილეთა ქარხნის ერთ-ერთ ხელმძღვანელ დავით ჭანტურიასთან შეხვედრისას გადაწყდა უახლოეს დღეებში კიდევ ერთი შეხვედრის ორგანიზება, სადაც ქარხნის მხრიდან კლუბის მხარდასაჭერად განსახორციელებელი კონკრეტული ღონისძიებების გატარების შესაძლებლობა იქნება განხილული.

ბათუმის საკრებულოს წინ კი კლუბის ხელმძღვანელების გადადგომის მოთხოვნით აქცია გამართეს ბათუმის „დინამოს“ ფანკლუბის წევრებმა. მათი თქმით, კლუბისთვის გამოყოფილი თანხები არამიზნობრივად იხარჯება. ბათუმის „დინამო“ უმაღლესი ლიგიდან გავარდნის კანდიდატია, ამიტომ გუნდში ცვლილებებია საჭირო. „დინამოს“ ბიუჯეტი წელიწადში 1.400.000 ლარს შეადგენს.

გივი თალაკვაძე („დინამოს“ გულშემატკივარი):

– ხელმძღვანელობა ძალიან ცუდ პოლიტიკას ატარებს გუნდში. არ არის ისეთი ტრანსფერები, როგორიც გუნდს სჭირდება. სწორედ ამის გამოა, რომ 3-4 წელია გუნდი იბრძვის ან დარჩენისთვის, ან უმაღლეს ლიგაში გადმოსვლისთვის. საკრებულოს ვთხოვთ, შეცვალოს ხელმძღვანელობა. მერია აფინანსებს „დინამოს“, საკრებულოს კი აქვს იმის უფლება, რომ შეცვალოს ისინი.

ვახტანგ მითაიშვილი („დინამოს“ გულშემატკივარი):

– ჩვენ ვადანაშაულებთ კლუბის წარუმატებლობაში, პირველ რიგში, კლუბის ხელმძღვანელობას, მათ შორის კლუბის დირექტორს ბატონ სულხან გოგიბერიძეს. 4 წელი მას ჰქონდა დაფინანსება, მაგრამ გუნდისთვის არაფერი გაკეთებულა, მათ შორის არც საშხაპე, ელემენტარული პირობები არ შექმნილა.

ირაკლი ჩავლეიშვილი (ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე):

– პროფესიული სპორტი ორიენტირებულია შედეგზე. რაც შეეხება ბათუმის „დინამოს“ სავალალო შედეგებს, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. თვითმმართველობამ საკმაო თანხა გამოყო იმისთვის, რომ ბათუმის „დინამო“ დარჩენილიყო უმაღლეს ლიგაში. აქ საუბარი იყო არა პირველ სამეულზე, არამედ მხოლოდ უმაღლესში ადგილის შენარჩუნებაზე. გუნდის ხელმძღვანელობისგან დღემდე ველი განცხადებას ან რაიმე სახის ინფორმაციას, თუ რატომ მოხდა ასე. იმ შემთხვევაში, თუ მათგან არ იქნება ეს განცხადება გაკეთებული, ბათუმის საკრებულო იმსჯელებს ამ საკითხზე.

ფედერაცია ჟურნალისტებს პასუხობს

გასულ კვირას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ზვიად სიჭინავა ზესტაფონში იმყოფებოდა, სადაც მას შეხვედრები ჰქონდა ადგილობრივ მუნიციპალიტეტში და ზესტაფონელ გულშემატკივართან. სფფ-ის პრეზიდენტმა ამ თემაზე სატელევიზიო კომენტარიც გააკეთა. საზოგადოების დიდი ინტერესიდან გამომდინარე, სიჭინავა არსებულ სიტუაციას კიდევ ერთხელ განმარტავს და რამდენიმე მედიასაშუალებაში არასწორი კონტექსტით გაჟღერებულ კომენტარზე საუბრობს. მისი სიტყვები ფედერაციის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

ზვიად სიჭინავა:

– მე ყველა გუნდის გულშემატკივარი ვარ და მინდა, ყველგან იყოს ფეხბურთი. ამიტომაც დავდივარ ყველგან და ყოველთვის ჩავალ, სადაც საჭირო იქნება. კმაყოფილი ვარ „ზესტაფონის“ გულშემატკივრებთან შეხვედრით. გამიხარდა, რომ ამდენი ადამიანი გულწრფელად იყო გაერთიანებული თავისი საყვარელი გუნდის გარშემო. ამ ეტაპზე ფედერაცია სპორტის სამინისტროსთან ერთად მუშაობს დიდ პროექტზე. ეს არის პროექტი, რომელმაც შეიძლება ძალიან ბევრი რამ უკეთესობისკენ შეცვალოს ქართულ ფეხბურთში და გადაჭრას ბევრი პრობლემა. ვფიქრობ, ამ თვის ბოლომდე ყველაფერი გაირკვევა. დეტალებზე საუბარი ჯერ არ მინდა, სანამ საქმე ბოლომდე არ მივა. ჩემ მიერ ხსენებული პროექტი სწორედ სიახლეებს უკავშირდება და ეს აშკარად წინგადადგმული ნაბიჯი იქნება. ეს არის ფეხბურთის ფედერაციისა და სახელმწიფოს ერთობლივი გეგმა. საკითხი ჩვენ უკვე გავიარეთ ბატონ ლევან ყიფიანთან. ფედერაცია ამზადებს საკუთარ ხედვას, ხოლო სპორტის სამინისტროს სპეციალისტები პარალელურად მუშაობენ თემაზე და საბოლოოდ ამ ყველაფრის შეჯერება მოხდება. აქვე მინდა ერთ საკითხსაც შევეხო. ზესტაფონში ჩემი ყოფნისას, ადგილობრივებთან და მედიის წარმომადგენლებთან ვისაუბრე კლუბში არსებულ პრობლემებზე. შემდეგ კი, სამწუხაროდ, პრესის საშუალებით ჩემი ნათქვამის არასწორი ინტერპრეტირება მოხდა. იცით ჩემი ურთიერთობა მედიასთან. უარს არასდროს ვამბობ არც კომენტარზე, არც ინტერვიუზე და ვთვლი, რომ ფედერაციას მედიასთან ურთიერთობა მოწესრიგებული აქვს. იყო შეკითხვა, თუ რატომ არ ჩავიდა სპორტის მინისტრი იმ დღეს ზესტაფონში და რატომ ჩავიდა რამდენიმე დღით ადრე გორში. ამაზე ვუპასუხე, რომ ის მინისტრია და თავისი გრაფიკის შესაბამისად გეგმავს შეხვედრებსა და ვიზიტებს. მე და მინისტრს გვქონდა საუბარი კლუბებთან მიმართებით დაფინანსების „დომინოს პრინციპზე“. ორივემ ვთქვით და ღიად დავაფიქსირეთ, რომ თუ სიტუაცია ამ „დომინოს პრინციპით“ წავა, ჩვენ ყველგან ჩავალთ და ყველას დავეხმარებით. ფედერაცია ვალდებულია და ამას აუცილებლად გააკეთებს. ბატონმა ლევანმაც დაადასტურა, რომ სადაც საჭირო იქნება, ყველა რეგიონს ესტუმრება. როგორც მე მაქვს ინფორმაცია, მინისტრი ზესტაფონში ჩასვლასაც გეგმავს. ბოლო პერიოდში ფედერაცია და სპორტის სამინისტრო ძალიან მჭიდროდ თანამშრომლობენ; ურთიერთობები დარეგულირდა და მუდმივ სამუშაო რეჟიმში ვართ, რაც ძალიან კარგია, უპირველესად, ქართული ფეხბურთისთვის.

პ.ს. საინტერესოა, ყველა მედიასაშუალებას როგორ შეეშალა ბატონი სიჭინავას სიტყვები და გადმოსცა არასწორი ინტერპრეტაციით?

ფეხბურთი

ევროპის ლიგა

ფინალი

ბენფიკა-ჩელსი 1:2

ლიბერტადორესის თასი

პალმეირასი-ტიხუანა 1:2

ველეჟი-ოლდ ბოიზი 1:2

კორინთაინსი-ბოკა 1:1

მოტლანდია. ჰიბერნიანი

კილმანროკი-ჰიბერნიანი 1:3

აშშ. მლს

ფილადელფია-ლოს ანჯელესი 1:4

შედეგები

კალათბურთი

ნბა. პლეი ოფები

მაიამი-ჩიკაგო 94:91

სერიის ანგარიში: 4:1

ოკლაჰომა-მემფისი 84:88

სერიის ანგარიში: 1:4

ჰოკეი

ნჰლ. პლეი ოფი

ჩიკაგო-დეტროიტი 4:1

სერიის ანგარიში: 1:0

ჩელსიმ სეზონი არისტოკრატიულად დახურა

ბენფიკა – ჩელსი 1:2

0:1 ტორესი (60), 1:1 კარდოსო (68პ), 1:2 ივანოვიჩი (90)

ბენფიკა: მორაეში, ალმეიდა, ლუიზაო, გარაი (ჟარდელი 78), მელგარეხო (ჯონი 66), პერესი, მატიჩი, მორენო (ლიმა 66), გაიტანი, კარდოსო, სალვიო

ჩელსი: ჩეხი, ასპილიკუეტა, ივანოვიჩი, კეჰილი, კოული, ლემპარდი, ლუისი, რაირესი, მატა, ოასკარი, ტორესი

მატჩის ბოლო, დამატებულ მესამე წუთზე ლონდონელთა სერბმა მცველმა ბრანისლავ ივანოვიჩმა კუთხურიდან ჩამოწოდებულ ბურთს თავი შეაგება და ლონდონის „ჩელსის“ ევროპის ლიგა მესამედ მოაპოვებინა. ამ წუთისთვის „არისტოკრატები“ ევროპის ორივე ტიტულის მფლობელები არიან, თუმცა ცოტა ხნით – მალე ჩემპიონთა ლიგის ფინალი გაიმართება და „ჩელსის“ მხოლოდ ევროპის ლიგის ტიტულის ფლობა შერჩება კიდევ ერთი წლით. ამ მოგებით კი ლონდონელები „აიაქსის“, „ბაიერნისა“ და „იუვენტუსის“ შემდეგ ფეხბურთის ისტორიაში მე-4 კლუბი გახდა, რომელსაც სამივე ევროპული თასი მოუგია.

„ბენფიკა“ კი ევროტურნირის ფინალში 1962 წლის შემდეგ 7-ჯერ გავიდა და შვიდჯერვე წააგო!

ფინალი კი ისეთი გამოვიდა, როგორიც უნდა გამოსულიყო. ორივე გუნდმა მაღალი დონის ფეხბურთი აჩვენა. მატჩი სანახაობრივიც გამოდგა, დაძაბულიც და უკომპრომისოც. თუმცა ფეხბურთში ხშირად ხდება ისე, როდესაც ერთი გუნდი გაცილებით უკეთ თამაშობს, მაგრამ იგებს მეორე. ამ ფინალშიც ასე მოხდა – „ბენფიკა“ დიდი დროის მანძილზე ფლობდა უპირატესობას, მომენტებიც მეტი შექმნეს, თამაშობდნენ მობილურად და მრავალფეროვნად. „არწივების“ თამაშმა მართლაც კარგი შთაბეჭდილება დატოვა, მაგრამ პორტუგალიელებმა თავად წააგეს მატჩი და ეს პირველ რიგში მომენტების გამოუყენებლობას უნდა დაბრალონ

თავის მხრივ, უნდა გამოვყოთ რაფაელ ბენიტესი – ლონდონელთა მწვრთნელი, რომელსაც ერთი ცვლილებაც არ განუხორციელებია 90 წუთის განმავლობაში. მიუხედავად კრიტიკისა, ესპანელმა სპეციალისტმა დასკვნითი ნაწილი ჩინებულად ჩაატარა და მთავარი ამოცანა შეასრულა – გავიდა ჩემპიონთა ლიგაზე და მოიგო ევროპის თასი.

„ბენფიკას“ მიმართ კი თანაგრძნობა უნდა გამოვხატოთ. „არწივებმა“ ჯერ შაბათს წააგეს საჩემპიონო მატჩი პორტუგალიის ჩემპიონატში „პორტუსთან“ მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში, შემდეგ კი – ევროპის თასის ფინალში.

არადა, პირველ ტაიმში „ბენფიკას“ იმხელა უპირატესობა ჰქონდა, სამი გოლი მაინც უნდა გაეტანა ედენ აზარისა და ჯონ ტერის გარეშე მოთამაშე „ჩელსის“ კარში, თუმცა ვერ მოახერხა. კარდოზო, გაიტანი და მატიჩი ერთმანეთის მიყოლებით რჩებოდნენ ხელსაყრელ სიტუაციაში, მაგრამ პორტუგალიელები რატომღაც კარში არ ურტყამდნენ.

სამაგიეროდ, ერთხელ, მაგრამ ლამის საგოლედ დაარტყა „ჩელსიმ“. ფრენკ ლამპარდმა დიდებულად მოჭრა ბურთი და დარტყმას არც სიძლიერე დააკლო, მაგრამ არტურ მორაეშმა არნახული რეაქციით იხსნა „ბენფიკა“.

მეორე ტაიმმა პირველს სანახაობრივად გვარიანად აჯობა. „არისტოკრატებმა“ ანგარიში სანიმუშო კონტრშეტევით გახსნეს, რომელიც მეკარემ დაიწყო. ჩეხმა გაატანა მატას, ამან ტორესს, ესპანელმა სისწრაფეში დაჩაგრა მცველი, მოატყუა მეკარე არტურიც და ცარიელ კარში მშვიდად დაარტყა.

ანგარიში მალე გათანაბრდა. სეზარ ასპილიკეტამ საჯარიმოში ხელით ითამაშა. პენალტი ოსკარ კარდოზომ შეასრულა. პარაგვაელმა ჩეხი ერთ კუთხეში გადაახტუნა, ბურთი კი მეორეში შეაგდო.

მატჩის ბოლომდე გუნდებმა თითო მომენტი გაცვალეს. ჯერ შორეული დარტყმის შემდეგ ფრენკ ლამპარდმა ძელს გაარტყა ბურთი, მერე კი ოსკარ კარდოზომ ვერ გაიტანა.

ბოლოს იყო ივანოვიჩის „მკვლელი“ თავური, რომელმაც „ჩელსი“ ყველა ევროპული ტიტულის მფლობელად აქცია.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ბრანისლავ ივანოვიჩი

ყველა ფეხბურთელი შეიძლება დაგვესახელებინა საუკეთესოდ, მაგრამ მათგან სერბი ფეხბურთელი გამოვარჩიეთ, რომელიც მატჩის გმირი გახდა. გაიტანა გოლი ისეთ დროს, რომ მეტოქეს გათანაბრების შანსი არ დაუტოვა. ამასთან, კარგად უმკლავდებოდა თავის პირდაპირ მოვალეობას – მყარად იდგა დაცვაში და „ბენფიკას“ შეტევებს შლიდა.

მატჩის შემდეგ

რაფაელ ბენიტესი, ჩელსის მწვრთნელი:

– ვამაყობ, რომ ევროპის ლიგის ფინალი მოვიგეთ. „ბენფიკა“ ძალიან ძლიერი გუნდია, რომელმაც მატჩი უმაღლეს დონეზე ჩაატარა. ამ დრომდე სეზონში უკვე 69 შეხვედრა გვქონდა გამართული და ჩვენთვის ფინალი იოლი არ იყო. დაღლილობას ვგრძნობდით და ეს ხელს გვიშლიდა, გავმკლავებოდით მეტოქის ძლიერ ზეწოლას. „ბენფიკას“ განაპირა მცველები ხშირად ერთვებოდნენ შეტევაში და, შესაბამისად, უკან თავისუფალ ზონებს ტოვებდნენ, რის გამოყენებასაც შევეცადეთ. მეტოქე სახიფათო კი იყო სტანდარტული მდგომარეობების დროს, თუმცა დაცვაში არცთუ მთლად საიმედოდ ირჯებოდა, რაც ჩვენს წისქვილზე ასხამდა წყალს. ჩვენი გუნდის შეტევას რამირესის, ოსკარისა და ფერნანდო ტორესის ტრიო განაპირობებდა, რომელთა შემაკავშირებლად ხუან მატა გავამწესეთ. ფერნანდოს სისწრაფე მეტოქის დაცვას სულის მოთქმის საშუალებას არ აძლევდა. ივანოვიჩმა ბრწყინვალე გოლი შეაგდო. ჩვენ შევისწავლეთ „ბენფიკას“ თამაშის სტილი კუთხურებისას და მისი სისუსტეების გათვალისწინებით, სათანადო ჩაწოდებები დავამუშავეთ. გუნდში ნამდვილი პროფესიონალები მყავს, რომლებსაც დამატებითი მოტივაცია არ სჭირდებათ. მიუხედავად იმისა, რომ გარდამავალ პერიოდში ვართ და ახალგაზრდული შემადგენლობა გვყავს, გუნდი აგრძელებს მოგებას. ფეხბურთელები, მიუხედავად იმისა, რომ იციან, სეზონის დასრულების შემდეგ წავალ, მოედანზე მაინც ბოლომდე იხარჯებიან, რასაც ძალიან ვაფასებ.

ჟორჟე ჟესუსი, ბენფიკას მთავარი მწვრთნელი:

– მინდა ვთქვა, რომ აქ ყოფნით ამაყი ვარ. მსოფლიომ დაინახა, რომ „ბენფიკა“ მართლაც მაღალი კლასის გუნდია და იმსახურებდა კიდეც გამარჯვებას. მხურვალე თანადგომისა და ერთგულებისთვის გამარჯვებას იმსახურებდნენ ჩვენი გულშემატკივრებიც. ამ შეხვედრაში მეტწილად „ბენფიკა“ ჯობდა, უფრო ორგანიზებულად თამაშობდა და ტექნიკითაც და ტაქტიკითაც აღემატებოდა მეტოქეს. „ჩელსი“ კონტრშეტევებზეა საშიში და თუკი პირველ ტაიმში ინგლისელების განიარაღება შევძელით, შესვენების შემდეგ მათ წარმატების მიღწევაში ხელი ვეღარ შევუშალეთ. არადა, ანგარიში ჩვენ უნდა გაგვეხსნა, შემდეგ კი 2:1 გაგვეხადა ის. ყველაფერს პატარა დეტალები წყვეტდა, უფრო ზუსტად, საჯარიმოები. და კიდევ ერთხელ, უკვე მეორედ ბოლო ხუთი დღის განმავლობაში, გადამწყვეტი ბურთი დამატებულ დროში გავუშვით. „ბენფიკა“ ამჯერადაც არ იმსახურებდა წაგებას. ბოლოს ყველანი განადგურებულნი ვიყავით. მაგრამ წინ კიდევ ორი ფინალია. პორტუგალიის თასისთვის მატჩში უნდა ვითამაშოთ და პლუს, არ დასრულებულა საჩემპიონო რბოლა. ძალიან გამახარა მატჩის შემდეგ იოჰან კრუიფის მოკითხვამ და სიტყვებმა, რომ „ბენფიკა“ მართლაც კარგი გუნდია, რომელიც მისთვის მოსაწონ ფეხბურთს თამაშობს. მე მისგან ბევრი რამ ვისწავლე და მის სიტყვებს ჩემთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

5 მედალი აზერბაიჯანიდან

აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში ჭაბუკ მოკრივეთა შორის ჰეიდარ ალიევის სახელობის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი ჩატარდა. შეჯიბრებაში 9 ქვეყნის ჭაბუკთა ნაკრები მონაწილეობდა. ქართველმა მოკრივეებმა ბაქოში 1 ოქროს და 4 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

66 კგ წონით კატეგორიაში უძლიერესის ტიტული ქუთაისელმა გიორგი ხარაბაძემ მოიპოვა, მესამე ადგილზე კი გავიდნენ: ესკერხან მადიევი (52კგ, თბილისი), თორნიკე ხელაძე (60კგ, ქუთაისი), ბექა ვახანია (70კგ, თბილისი) და რატი ტლაშაძე (75კგ, გორი).

ჩვენი ჭაბუკთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი ბაქოს საერთაშორისო ტურნირზე საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი თეიმურაზ ლორთქიფანიძე გახლდათ, რომელსაც საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი კუკური შავგულიძე ეხმარებოდა.

ესპანურ კლუბებს ფინანსური საქმიანობის კონტროლის ახალი მექანიზმები უწესდებათ

ესპანეთის პროფესიული საფეხბურთო ლიგის პრეზიდენტ ხავიერ ტებასის განცხადებით, ახალი ფინანსური კონტროლის მექანიზმები ბევრ კლუბს საშუალებას მისცემს, დავალიანებები შეამციროს. მომავალი სეზონიდან ყველა კლუბის ბიუჯეტი დაახლოებით 10 პროცენტით შემცირდება. ყველა მათგანს მოუწევს აბონემენტებზე ფასის დაკლება. რასაკვირველია, ეს არ შეეხება „რეალსა“ და „ბარსელონას“.

ხავიერ ტებასი:

– ჩვენ კლუბების ფინანსური საქმიანობის მკაცრ კონტროლს განვახორციელებთ, რითიც მათი ხარჯების შემცირება მოხერხდება. ეს მათ საშუალებას მისცემს, მომდევნო 3-4 წლის განმავლობაში დავალიანებები შეამცირონ. თუ შემოსავლებისა და გასავლების დაბალანსების შემდეგ კლუბს ექნება 100 მლნ, ჩვენ მათ უფლებას მივცემთ, სატრანსფერო ბაზარზე 85 მლნ დახარჯონ, დანარჩენი 15 კი ვალების გადახდას უნდა მოახმარონ.

პოლონეთის ნაკრების მწვრთნელმა გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა

ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ეროვნული ნაკრების მეტოქე პოლონეთმა გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა. ერთი პერიოდი გავრცელდა ინფორმაცია, რომ ნაკრებში თამაშზე უარს ამბობდნენ ლიდერები – მარცინ გორტატი და მაციე ლამპე, თუმცა პოლონელებმა თავი ყველა სასურველ და ღირსეულ კანდიდატს მოუყარეს.

პოლონეთის ნაკრების გერმანელმა მწვრთნელმა დირკ ბაუერმანმა ნატურალიზებულ კალათბურთელთაგან არჩევანი ტომას კელატიზე შეაჩერა. ამასთან, აღიარებულ და ვეტერან კალათბურთელებთან ერთად ბაუერმანმა ეროვნულ გუნდში 20-წლამდელთა ნაკრების წევრებს – პრემისლავ კარნევსკის, მატეუშ პონიტკას, ტომაშ გიელოს და მიხალ მიხალაკს უხმო.

პოლონელები შეკრებას 23 ივლისს იწყებენ, ხოლო პირველ მოსამზადებელ მატჩს 7 აგვისტოს გამართავენ. როგორც პოლონელთა ნაკრების გენერალურმა მენეჯერმა მარცინ ვიდომსკიმ განაცხადა, ეს შემადგენლობა საბოლოო არაა და შესაძლებელია, ნაკრებში ახალი სახეები გამოჩნდნენ.

პოლონეთის ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა:

ადამ ჭრიჩანიუკი (ვალენსია ბასკეტი, ესპანეთი), მიხალ იგნერსკი (ბანკო დი სარდინია სასარი, იტალია), პრჟემისლავ კარნოვსკი (გონზაგა, ნცაა), ტომას კელატი (ვალენსია ბასკეტი, ესპანეთი), ლუკაშ კოშარეკი (ზიელონა გორა), დამიან კულიგი (ტუროვი), მიხაელ ჩილინსკი (ტუროვი), ალექსანდერ ჩიზი (ასეა რომა, იტალია), იაკუბ დლონიაკი (ტარნობრჟეგი), ტომაშ გიელო (ლიბერტი,ნცაა), მარცინ გორტატი (ფინიქს სანზი, ნბა), მაციე ლამპე (კახა ლაბორალ ვიტორია, ესპანეთი), მიხალ მიხალაკი (ტრეფლ სოპოტი), პიოტრ პამულა (ასეკო პროკომ გდინია), მატეუშ პონიტკა (ასეკო პროკომ გდინია), შიმონ შევჩიკი (უმანა რეიერ ვენეცია, იტალია), კრჟიშტოფ შუბარგა (ანვილი), ადამ ვაჩინსკი (ტრეფლ სოპოტი), ლუკაშ ვიშნიევსკი (კოშალინი), იაკუბ ვოიჩიეხოვსკი (ტორინო, იტალია), პრჟემისლავ ზამოისკი (ასეკო პროკომ გდინია).

მოამზადა მიხეილ ყორეოლიანმა

ქართული კულტურის დღეები ბრიტანეთში წარმატებით დასრულდა

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში პრესკონფერენცია გაიმართა, რომელიც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ ლონდონში გამართულ ქართულ კულტურულ პროგრამას შეეხებოდა. პრესკონფერენციას ესწრებოდნენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე ალექსანდრე მარგიშვილი, კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის მმართველი ეკატერინე მაზმიშვილი, დასის წევრები, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი გიორგი კალანდია.

როგორც შეხვედრაზე ითქვა, ბრიტანულ საზოგადოებაზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ქართული ხალხური ტრადიციული ხელოვნების სხვადასხვა დარგის პრეზენტაციამ, ასევე დიდი გამოხმაურება მოჰყვა ქართული სუფრის წარდგენას, ქართულ მრავალხმიანობასა და ცეკვას, ექსპოზიციას, სადაც ეროვნული სამოსი, ღვინის ჭურჭელი, ხალხური რეწვის, ტექსტილის ნამუშევრები და სხვა უამრავი ექსპონატი გამოიფინა.

როგორც დაგეგმილი იყო, შექსპირის თეატრში „გლობუსი“, კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი, 6-ჯერ წარდგა ლევან წულაძის სპექტაკლით „როგორც გენებოთ“.

ლონდონში ქართული კულტურის პროგრამის ფარგლებში ასევე გაიმართა სხვადასხვა ღონისძიებები 8 მაისს, ლონდონში „ვინოპოლისის“ დარბაზში გაიხსნა გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იყო ქართული სცენოგრაფია შექსპირის თემაზე. მის პარალელურად საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილემ მანანა ბერიკაშვილმა და საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორმა გიორგი კალანდიამ საზოგადოებას წარუდგინეს მოხსენება თემაზე „შექსპირი ქართულ თეატრში“ და „შექსპირი ქართულ მხატვრობაში“. გამოფენაზე გამოტანილი იყო პეტრე ოცხელის, დავით კაკაბაძის, ირინა შტენბერგის, ნიკა ყაზბეგისა და სხვათა ნამუშევრების ასლები.

10 მაისს „ვინოპოლისის“ დარბაზში მოეწყო ქართული მხატვრული ფილმების „ქვევრი“, „ფიროსმანი“ და ასევე ანსამბლ „სუხიშვილების“ დოკუმენტური ფილმის ჩვენება. ამ დარბაზში მიმდინარე ქართულ კულტურულ პროგრამებს მუსიკალურად აფორმებდა ქართული ხალხური ანსამბლი „ურმული“.

11 მაისს ქართველმა ემიგრანტმა, ინგლისში მოღვაწე ცნობილმა ქართველმა ჟურნალისტმა გიორგი ლალიაშვილმა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, კერძოდ, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმს უნიკალური საჩუქარი გადასცა – 1866 წელს დამზადებული ანდრონიკაშვილების საგვარეულო მოვერცხლილი ჭურჭელი. მემორიალური ნივთების უკანასკნელი მფლობელი ცნობილი საზოგადო მოღვაწე, მეცენატი, ვერცხლის საუკუნის ყველაზე ცნობილი ქალბატონი სალომე ანდრონიკაშვილი იყო.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, დიდ ბრიტანეთში ქართული კულტურის პროგრამა წარმატებით დასრულდა. პროექტის იდეის ავტორი კულტურის მინისტრის მოადგილე მანანა ბერიკაშვილია. ქართული კულტურის დღეების მხარდამჭერი ქართულ-ბრიტანული სავაჭრო პალატა იყო.

– ლონდონში წარმოდგენილი იყო ქართული ტრადიციული სამზარეულო, ქართული მხატვრობა. დიდი გამოხმაურება მოჰყვა ქართული სუფრის წარდგენებას, ქართულ მრავალხმიანობას და ქართულ ცეკვას. მოეწყო ქართული მხატვრული ფილმების ჩვენება, მიმდინარეობდა მარჯანიშვილის თეატრის გასტროლები. ხელმეორედ მათ ქართულ ენაზე წარმოადგინეს „როგორც გენებოთ“. შექსპირი მეორედ გაჟღერდა ერთი წლის თავზე ხელმეორედ. მე ვფიქრობ, ეს არის საუკეთესო შეფასება და დაფასება ბრიტანელი მეგობრებისგან, – აღნიშნა კულტურის მინისტრის მოადგილემ ალექსანდრე მარგიშვილმა.

მარჯანიშვილის თეატრის მმართველის ეკატერინე მაზმიშვილის თქმით:

– ლონდონში, გლობუსის თეატრში გამართულ წარმოდგენებზე ბრიტანელი კოლეგების მიწვევით ვიყავით. ჩვენ წელსაც გავმართეთ უილიამ შექსპირის „როგორც გენებოთ“ თეატრალური წარმოდგენა გლობუსის თეატრში. გასულ წელს ჩვენი შეფასებები კრიტიკოსებისა და მაყურებლების იყო ძალიან მაღალი. 6 სპექტაკლიდან ოთხი – 1500 კაცით იყო შევსებული, ხოლო 2, რომელიც დღის ორ საათზე იყო – 1000 მაყურებლით.

როგორც პრესკონფერენციაზე საქართველოს კინოს, თეატრის, მუსიკისა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის ხელმძღვანელმა გიორგი კალანდიამ აღნიშნა:

– ბრიტანეთში მოღვაწე ჟურნალისტმა გიორგი ლალიაშვილმა ჩვენს მუზეუმს საჩუქრად გადამოსცა ანდრონიკაშვილების საგვარეულო მოვერცხლილი ჭურჭელი დოქი და სასმისი. მოვერცხლილი ჭურჭელი ეკუთვნოდა მეცენატსა და საზოგადო მოღვაწეს სალომე ანდრონიკაშვილს. იგი ბრიტანეთში გარდაიცვალა 1982 წელს. სალომე ანდრონიკაშვილი ემიგრირებული იყო. მისი ქონება კერძო კოლექციონერებს შორის გადანაწილდა. თავისი ქონების დიდი ნაწილი მან თავის ქალიშვილს დაუტოვა. კერძო კოლექციონერების საშუალებით მოხვდა ეს ყველაფერი გიორგი ლალიაშვილთან და გიორგი ლალიაშვილმა გადმოგვცა ჩვენ.

ქართული კულტურის პროგრამა ფესტივალით „საქართველო – ღვინის ხელოვნება და ღვინო ხელოვნებაში“ 21 მაისამდე გრძელდება.

„ა სტუდიო“ თბილისში კონცერტს გამართავს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

სო საკონცერტო შოუ“. საუკეთესოების გამოვლენა და დაჯილდოების ცერემონიალი 25 მაისს „კროკუს სიტი ჰოლში“ გაიმართება. ჯგუფი ასევე ნომინირებულია პრემიაზე „პოპ-მუსიკის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის“. მთლიანობაში „ა სტუდიო“ 2013 წელს ყველაზე ხშირად ნომინირებული ჯგუფია სხვადასხვა ნომინაციებსა თუ დაჯილდოებების ცერემონიალებზე.

– „ა სტუდიო“ რუსეთის ერთ-ერთი საუკეთესო პოპ-ჯგუფია, – ერთხმად აცხადებენ რუსი ჟურნალისტები.

საქართველოში ჩამოსვლა და კონცერტის გამართვა „ა სტუდიოსთვის“ განსაკუთრებით სასიხარულოა. როგორც ნატო დუმბაძე ამბობს, მათ ძალიან უყვართ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მსმენელი და, რა თქმა უნდა, ჩვენი სამზარეულო. ქეთა თოფურია ხშირად ჩამოდის სამშობლოში და მეგობრებისა თუ ახლობლების გარემოცვაში გართობას ახერხებს, ჯგუფის წევრები კი საქართველოში კონცერტის ჩატარებას მოუთმენლად ელოდებიან.

რა სიახლეები იქნება „ა სტუდიოს“ კონცერტზე, ამის შესახებ „ახალ თაობას“ ნატო დუმბაძე ესაუბრა:

– „ა სტუდიო“ საქართველოში მე არ ჩამომყავს, ჩემს მეგობრებს ჩამოჰყავთ, მაგრამ როგორც „ა სტუდიოს“ ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში, მათ ამ კონცერტის ორგანიზებაში ვეხმარები. ვინაიდან „ა სტუდიოს“ წარმომადგენელი საქართველოში მე ვარ, ვისაც მოუნდება ამ ჯგუფის ჩამოყვანა საქართველოში, ჩემთან უნდა შეათანხმონ ყველა დეტალი და ბევრ რამეში ვარკვევ ხოლმე ორგანიზატორებს.

– ვის ჩამოჰყავს „ა სტუდიო“ საქართველოში?

– 11 ივნისს ჯგუფი საქართველოში ჩამოჰყავს კომპანია „ივენთ 404“-ს, რომელიც ძირითადად კორპორატიული ღონისძიებების ორგანიზებით არის დაკავებული, ამჯერად კი კონცერტს აკეთებენ. „ა სტუდიოს“ კონცერტის შემდეგ იქნება აფთერ ფართი, სადაც მეგობრები და ახლობლები შეიკრიბებიან.

– როგორი რეპერტუარით წარდგებიან მუსიკოსები თბილისელი მსმენელის წინაშე?

– ჯგუფმა იზეიმა დაარსების 25 წლისთავი და თბილისშიც თითქმის ყველა სიმღერას შეასრულებენ. ისინი იმღერებენ როგორც ძველ, ასევე ახალ სიმღერებს.

– ბოლოს როდის იყო ჯგუფი საქართველოში?

– ბოლოს „ა სტუდიო“ ბათუმში 2007 წელს იყო ჩამოსული. თბილისში კორპორატიულზეც იყვნენ, ეს იყო დახურული ღონისძიება.

– ადვილად დაითანხმეთ?

– რა თქმა უნდა. მთავარი იყო, რომ თავისუფალი დრო ჰქონოდათ, გადატვირთული საგასტროლო გრაფიკი აქვთ და სულ კონცერტებში არიან. ძალიან უხარიათ საქართველოში ჩამოსვლა, დიდი ხანია არ ვყოფილვართო და გვიყვარს ქართველი მსმენელი თავის ემოციებით და თავისი აპლოდისმენტებითო. ქართულ სამზარეულოზეც გიჟდებიან და საქართველოც ძალიან უყვართ.

– ჯგუფი საქართველოში მოსკოვიდან ჩამოვა?

– კი, მოსკოვიდან ჩამოვლენ და პრესრელიზიც დარიგდება, პრესკონფერენციაც იქნება და ყველა დეტალი კონცერტთან დაკავშირებით, სწორედ პრესკონფერენციაზე გახდება ცნობილი.

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ფრანგი კინოვარსკვლავი ქალი; 2. ელექტრონული წინაღობის საზომი ერთეული ფიზიკაში; 3. ქართული წარმოშობის რუსი კომპოზიტორი, ქიმიკოსი; 4. კრემისგულიანი ნამცხვარი; 5. მრავალსართულიანი კარსტული მღვიმე იმერეთში; 6. პოპულარული ბრაზილიური ყავა; 7. თავხედური გულახდილობა; 10. არგენტინის ნაკრებისა და ბარსელონას ფეხბურთელი; 11. უბანი ქუთაისში; 12. ოფიცრის ჩინი; 13. მუსიკის ერთ-ერთი ჟანრი; 16. პოლიგრაფიული საწარმო; 18. გიორგი კობახიძის მოკლემეტრაჟიანი კინოკომედია; 19. ძალოსნობის იარაღი; 21. სპორტის სათამაშო სახეობა; 24. ბოსტნეულის მავნებელი მწერი.

თარაზულად: 1. წმინდა ოქრო; 3. მამაკაცის ძველებური უნგრული პალტო; 8. კუთხე საქართველოში; 9. ტბა იტალიის ჩრდილოეთში; 14. გულის ან ბრონქების დაავადებით გამოწვეული სულის ხუთვა; 15. მინერალური წყალი ბორჯომის ხეობაში; 17. რბილსაჯდომიანი ტაბურეტი; 20. საქონლის ჯოგი; 22. წვრილი წვიმა; 23. ძიუდოს საჭიდაო ხალიჩა; 25. ბილიარდის სათამაშო ჯოხი; 26. მუსლიმანთა სასულიერო პირი; 27. ღვინის ჩამომსხმელი, მერიქიფის ძველებური სახელწოდება; 28. ისტორიული ციხე-ქალაქი ჰერეთში.

შეადგინა თ. კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. დურუჯი; 2. ვენერა; 3. კაზმი; 5. კოლი; 6. ჩედერი; 8. იშხანი; 11. ხაბიზგინა; 13. ბორჩალო; 14. კათედრა; 15. თაიგული; 19. თულა.

თარაზულად: 1. დუბროვნიკი; 4. ოჩოკოჩი; 7. რაზდანი; 9. მარშალი; 10. შხარა; 12. ბიატლონი; 16. ჩიხირთმა; 17. კრუზადო; 18. ხევსურეთი; 20. ნუსხური; 21. რომა; 22. ფართინგი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. შუკა; 2. ემუ; 3. კაპიტალი; 4. ცა; 5. მოტოროლა; 6. ბონი; 7. ბენფიკა; 10. ხალი; 11. ალპინიადა; 12. ბიჭვინთა; 13. ხევი; 16. ჰუმუსი; 18. ენოლოგია; 19. სკალპი; 21. ლეღვი; 24. ტემპი.

თარაზულად: 1. შევალიე; 3. კუბიცა; 8. ბოჟოლე; 9. კოხი; 14. კლიპი; 15. ტენორი; 17. ჭონა; 20. ლენგლი; 22. ლანჩი; 23. კოიოტი; 25. ფხა; 26. უშბა; 27. ალია; 28. მოლდავეთი.

ბეთლემის უბნის ფესტივალზე მოგზაური საკვები გამოიფინება

დასაწყისი მე-12 გვერდზე

საზღვრაში, მას, ასევე, გადამწყვეტი ადგილი უკავია ადამიანთა შორის კომუნიკაციაში. ამიტომ, საჭმლის მომზადების პროექტი დაკავშირებულია ეთნიკურ იდენტობასთან, ისტორიების თხრობასთან, მათ საჯაროდ გაზიარებას, ხელოვანების მიერ ამ თემაზე ბროშურების შექმნა და ამ ყველაფერზე სახელოვნებო პროექტის გაკეთებით ჩვენი მიზანია, თბილისში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნების თუ ეთნიკური უმცირესობის ჯგუფებს შორის მეტი კომუნიკაციის დამყარება და ცნობიერების ამაღლება, – ამბობს ნატო ცინცაბაძე.

პროექტი მოიაზრებს ახალგაზრდა პროფესიონალების და სტუდენტების ჩართულობას.

– ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მათთვის ანთროპოლოგიური მიდგომისა და თანამედროვე ხელოვნებაში ინტერდისციპლინარულ თანამშრომლობის გაცნობას. სოციალურ-კულტურული ანთროპოლოგიისა და ხელოვნების სტუდენტების ჩართვით, ჩვენი მიზანი იყო გვეჩვენებინა და პრაქტიკის მაგალითზე გვესწავლებინა, თუ როგორ შეიძლება ცოდნის გამოყენება და მორგება ადგილსპეციფიკურ პროექტებში, სადაც მნიშვნელოვანია მონაწილეთა ჩართულობა მათსავე სასარგებლოდ. შესაბამისად, პროექტი ასევე აჩვენებს, თუ როგორ შეიძლება კვლევისა და სახელოვნებო პრაქტიკის შერწყმით მივიღოთ სამომავლო შემოქმედებითი და პრაქტიკული პროექტების წინაპირობები, – განმარტავს იკომოს საქართველოს წარმომადგენელი.

პროექტის ფარგლებში შერჩეულ იქნა ბეთლემის უბანში მცხოვრები სამი ეთნიკური ჯგუფი, რომლებთანაც ჩატარდა ინტენსიური კვლევითი სამუშაოები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მათ კულინარიულ ტრადიციებს და საკვებს.

– ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ახალგაზრდა ხელოვანები – თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის და თბილისის თანამედროვე ხელოვნების ცენტრის გრაფიკის და ფოტოგრაფიის ფაკულტეტების სტუდენტები მუშაობდნენ ანთროპოლოგებთან – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან ერთად, რის შედეგადაც მოძიებული ვიზუალური თუ ტექსტუალური მასალა გამოყენებულ იქნა პუბლიკაციის შესაქმნელად. საკვები და მასთან დაკავშირებული საქმიანობა წარმოადგენს პროექტის დიდ ნაწილს, იგი გვაჩვენებს თუ როგორ არის დანახული და გამოხატული სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების იდენტობა საკვებში და თუ როგორ იცვლება ესა თუ ის საკვები სხვა ქვეყანაში, რა რჩება ორიგინალი-პირვანდელი რეცეპტიდან და რა ტრანსფორმაციას განიცდის იგი მასპინძელი ქვეყნის პირობებიდან და სპეციფიკაციიდან გამომდინარე და თუ რა გარე კონტაქტები მყარდება თემებს შორის, რათა შეინარჩუნონ მათი საკვების ტრადიციები. ვაკეთებთ რა აქცენტს ამ ასპექტზე, ჩვენ ვცდილობთ ავხსნათ, თუ როგორ ახდენს გავლენას გარე თუ შიდა სამყარო, რომელშიც ვცხოვრობთ, ამ ტრადიციებზე და პირიქით, როგორ იცვლება გარემო სხვადასხვა კომპონენტების ზეგავლენით. გარდა ამისა, გარე სივრცეში წარმოდგენილი საცხოვრებელი გარემო იქცევა კვების ადგილად, სადაც მაყურებელს ვეპატიჟებით დაადგემოვნოს „მიგრანტების“ საკვები, გაეცნოს მათ პირად ისტორიებს, ასევე მშობლიური ქვეყნის ისტორიებს, გაცვალონ აზრები და რეცეპტები, რაც სასურველია იქცეს მომავალი კომუნიკაციის საწინდრად, – ამბობს ნატო ცინცაბაძე.

ფესტივალის დღეს ბეთლემის უბანში მცხოვრები 3 მონაწილე ჯგუფის წარმომადგენლების მიერ მოხდება საკუთარი ეთნიკური მიკუთვნებულობის საკვების საჯარო მომზადება და მათ საცხოვრებელ სახლებში ან სახლებთან სტუმრების გამასპინძლება, ისტორიების გაზიარება. ფესტივალის სტუმრები მოწვეულნი იქნებიან ჩაერთონ საკვების საჯარო მომზადების ღონისძიებებში და მონაწილეობით გაცვალონ საკვებთან დაკავშირებული ისტორიები. დარიგდება სპეციალურად მომზადებული ბროშურები, რომლებიც შეიცავს ამ ოჯახების ისტორიებს, რეცეპტებს და სხვადასხვა საინტერესო ტექსტუალურ თუ ვიზუალურ მასალას. ასევე, მომზადებული საკვების გაყიდვა მოხდება სიმბოლურ ფასად და მოგროვებული თანხა მთლიანად გადაინახება შემდეგი წლის ბეთლემის უბნის ფესტივალის ბიუჯეტისთვის.

– პროექტის ფარგლებში, ასევე დაგეგმილია ბავშვებთან და ახალგაზრდებთან ვორკშოპი მეორადი მასალების ხელმეორედ გამოყენების საკითხზე. მასალა შეგროვდა 11 მაისს ბეთლემის უბანში საჯარო ერთობლივი გაწმენდის აქციის შედეგად, რომელშიც სტუდენტები აქტიურად იყვნენ ჩართული. ვორკშოპის ძირითადი მიზანია გარემოს და მისი გაფრთხილების მიმართ ცნობიერების ამაღლება, პლასტმასის ბოთლების და პოლიეთილენის ჩანთების ხელმეორედ გამოყენება გამწვანების მიზნებით და მცირედი ხელოვნების ნიმუშების შესაქმნელად. ვორკშოპს გაუძღვებიან თბილისის თანამედროვე ხელოვნების ცენტრის სტუდენტები, – აცხადებს ნატო ცინცაბაძე.

პროექტი ხორციელდება გეოეარის წარმომადგენელთა ნინი ფალავანდიშვილისა და დათა ჭიღოლაშვილის მიერ, ასევე იკომოს საქართველოსა და ანთროპოლოგიისა და გრაფიკის ფაკულტეტების სტუდენტებთან ანა ბენიძესთან, ანა გზირიშვილთან, მაია მალინოვსკასთან, ანა რამაზაშვილთან, ნინი ხუროშვილთან, თათია ხუციშვილთან, ირაკლი შარვაძესთან თანამშრომლობით.

პროექტი ევროკავშირის მიერ აღმოსავლეთის პარტნიორობის კულტურის პროგრამის მეშვეობით ფინანსდება.

– ეს პროექტი ხორციელდება ევროკავშირის პროექტ სპეისის ფარგლებში. თანმხლები პუბლიკაციების ბეჭდვას ფინანსურად ხელი შეუწყო თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრმა, – ამბობენ ფესტივალის ორგანიზატორები.

„აირჩიე დემოკრატია!“ — აქცია საქართველოს პარლამენტთან გენდერული თანასწორობისთვის

15 მაისს ქუთაისში, საქართველოს პარლამენტის წინ, 500 ადამიანზე მეტი შეიკრიბა და გამართა ფართომასშტაბიანი აქცია „აირჩიე დემოკრატია“. აქცია „გენდერული თანასწორობის ქსელისა“ და „ჟურნალისტთა ქსელი გენდერული თანასწორობისათვის“ ორგანიზებით გაიმართა. ღონისძიების მიზანი იყო მოსახლეობის, პარლამენტისა და მთავრობის წევრების ინფორმირება გენდერული თანასწორობის, გენდერული კვოტირებისა და ქალთა პოლიტიკურად გაძლიერების მექანიზმებზე.

ნათია ხურცილავა

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ყველა რეგიონის 15-ზე მეტი ქალაქიდან ჟურნალისტებმა, სტუდენტებმა, არასამთავრობო ორგანიზაციების, გამგეობებისა და საკრებულოების წარმომადგენლებმა.

ღონისძიებას შეუერთდნენ დეპუტატები, გენდერული თანასწორობის საპარლამენტო საბჭოს წევრები, ქუთაისის წერეთლის უნივერსიტეტის დემოკრატიისა და მოქალაქეობის კურსის სტუდენტები, ადგილობრივი მოქალაქეები და მოსწავლეები.

მონაწილეებს სიტყვით მიმართეს დეპუტატებმა, გენდერული თანასწორობის საპარლამენტო საბჭოს წევრებმა გია გოზალიშვილმა და ნანა ყეინიშვილმა, გენდერული თანასწორობის ქსელისა და ჟურნალისტთა გენდერული ქსელის წარმომადგენლებმა.

ჟურნალისტ დავით ლიკლიკაძის განცხადებით, ეს იყო გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებით გამართული ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ღონისძიება, სადაც მოხდა ჟურნალისტთა კონსოლიდირება მთელი ქვეყნიდან არა მარტო ღონისძიების დღეს, არამედ მოსამზადებელ პერიოდშიც. „ჟურნალისტები ასე მასშტაბურად და ასეთი ენთუზიაზმით ძალიან იშვიათად ერთიანდებიან. ჩვენ, ჟურნალისტები აქტიურად დავუჭერთ მხარს დემოკრატიას და გენდერული თანასწორობის იდეას და ძალისხმევას არ დავიშურებთ ამ იდეების ადვოკატირებისათვის“, — განაცხადა დავით ლიკლიკაძემ.

აქციის მონაწილეებთან მივიდნენ სამცხე-ჯავახეთის რეგიონის დეპუტატები, რომელთა ინიციატივითაც მონაწილეთა ერთი ჯგუფი დაესწრო პარლამენტის სხდომას, რომელსაც უძღვებოდა ვიცე-სპიკერი, პარლამენტის გენდერული საბჭოს თავმჯდომარე მანანა კობახიძე. კობახიძემ პარლამენტის სხდომაზე განაცხადა, რომ სხდომას უერთდებოდნენ საქართველოს პარლამენტის წინ გენდერული თანასწორობის ქსელის და ჟურნალისტთა ქსელის გენდერული თანასწორობისათვის გამართული მრავალრიცხოვან აქციის მონაწილე ორგანიზაციების წარმომადგენლები. პარლამენტის წევრები ფეხზე ადგომითა და ტაშით შეხვდნენ გენდერული თანასწორობის ქსელის წევრებს.

ღონისძიების ფარგლებში მოეწყო თეატრალიზებული დადგმა „აირჩიე დემოკრატია“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 150 ადამიანმა — 75-მა მამაკაცმა და 75-მა ქალმა, რაც სიმბოლურად უკავშირდება დეპუტატთა რაოდენობას პარლამენტში.

პერფორმანსის მონაწილეებისათვის მომზადდა სპეციალური მაისურები სლოგანით „აირჩიე დემოკრატია“. ასევე მომზადდა და პარლამენტის წინ განთავსდა სპეციალური ბანერი.

ღონისძიებაზე ისაუბრეს საქართველოს პარლამენტში შეტანილ საკანონმდებლო ინიციატივაზე, რომელიც ეხება გენდერული თანასწორობისა და ქალთა პოლიტიკაში ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს საარჩევნო კოდექსსა და „მოქალაქეთა გაერთიანების შესახებ ორგანულ კანონში“ ცვლილებებისა და დამატებების შეტანას.

საქართველოს პარლამენტს ჯერჯერობით არ განუხილავს 32 400 მოქალაქის ხელმოწერით დადასტურებული საკანონმდებლო ინიციატივა, ამიტომ ღონისძიების მონაწილეებმა სპეციალურ სტენდზე კიდევ ერთხელ გააკეთეს სიმბოლურ ხელმოწერები, რითაც კიდევ ერთხელ დაადასტურეს მათი მოთხოვნის განხილვის სურვილი.

ღონისძიება გაიმართა გენდერული თანასწორობის ქსელისა და ჟურნალისტთა ქსელის გენდერული თანასწორობისათვის ორგანიზებით, რომელთა მხარდამჭერია საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი (IFES) და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID).

პავლე ინგოროყვას „ქართული ცივილიზაციის ისტორია“ შვიდტომეულის სახით წარმოდგება

პავლე ინგოროყვას შვიდტომეულის აღდგენა-განახლება ჩვენი საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა, რადგანაც ამ მკვლევარმა — ჯერჯერობით ერთადერთმა ქართველ მეცნიერთაგან — შეძლო თავისი მონოგრაფიების სერიით სრული სურათი წარმოესახა ჩვენი ცივილიზაციისა უძველესი ჟამიდან მოკიდებული — ლიტერატურისაც, ხელოვნებისაც, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრებისაც, და მართლაც ციხე-სიმაგრედ აეგო თავისი მეცნიერული მემკვიდრეობა, „გიორგი მერჩულეთი“ დაგვირგვინებული.

გამოჩენილი მკვლევარის სიცოცხლეში წამოწყებული შვიდტომეულიდან სამად-სამი წიგნი გამოიცა — პირველი, მესამე და მეოთხე წიგნები, მეორე ტომი აიკრძალა, რადგანაც იმპერიულ ხელისუფლებას ხელს არ აძლევდა იქ ეჭვმიუტანელი სიზუსტით წარმოჩენილი საქართველოს ტერიტორიული საზღვრები და, მათ შორის, აფხაზეთის მხარის ქართულობა — ისტორიული ცნობებისა და ლინგვისტურ მონაცემთა პირუთვნელი ანალიზის წყალობით დადგენილი. და აი შვიდტომეულის აღდგენა-განახლებამ პირველ ყოვლისა ის აკრძალული მეორე ტომი — ანუ „გიორგი მერჩულეს“ პირველი, ისტორიულ-გეოგრაფიული, ნაწილი — შემოიტანა ჩვენს საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში, ამჟამად კი მას შეემატა V ტომიც, რომელშიც თავმოყრილია პავლე ინგოროყვას ის მონოგრაფიები და ნაშრომები, ძველ პერიოდიკაში რომ არის მიმოფანტული, წიგნად არცერთი არასოდეს გამოცემულა, და ნაკლებ ხელმისაწვდომი ამიტომაც გახლდათ მკითხველისათვის:

„ძველ-ქართული წარმართული კალენდარი (მე-5-8 საუკუნის ძეგლებში)“, „ანტიკური ხანისა და საშუალ-საუკუნეთა ქართული მუსიკალური დამწერლობის ამოხსნა და ძველი ქართული მუსიკის აღდგენა (ამოხსნილ ძეგლთა ნიმუშების დართვით)“, „ლეონტი მროველი (ქართველი ისტორიკოსი „ჰამბავთა მწერალი“ მე-8 საუკუნისა)“, „ჩახრუხაისძე. პოეტი. მოგზაური (ესსაი საშუალ-საუკუნეთა აღმოსავლეთის პოეზიიდან)“, „თამარ მეფის იამბიკონნი“, „დავით სასუნცი (სომხური ხალხური ეპოსი)“; აგრეთვე პოლემიკური ყაიდის ნარკვევები: „რუსთველიანაზე პროფესორ კორნელი კეკელიძის წერილის გამო“, „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემის გამო“ (კონსტანტინე ჭიჭინაძის კრიტიკული გამოხმაურების პასუხად) და „პასუხი აკადემიკოს კორნელი კეკელიძეს“ (ეს პოლემიკა კი „გიორგი მერჩულემ“ გამოიწვია).

შვიდტომეულის აღდგენა-განახლება მოხდა ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებისა და როსტომ ჩხეიძის, როგორც შემდგენელ-რედაქტორის, თაოსნობით, გამომცემელი კი დავით გალეგაშვილია.

მწერალმა და მეცნიერმა როსტომ ჩხეიძემ ჩვენთან საუბრისას გაიხსენა, თუ რამხელა გამოხმაურება მოჰყვა თავის დროზე პავლე ინგოროყვას მიერ ძველი ქართული მუსიკალური დამწერლობის გაშიფვრას, თვით „იუნესკო“ დაინტერესდა, მსოფლიო რეზონანსი მოუპოვა ამ აღმოჩენას და, რომ არა საბჭოთა ხელისუფლებისა და მედროვე, წითელ პროფესორთა წინააღმდეგობა, შესაძლოა ამ აღმოჩენისათვის ჩვენს დიდებულ მეცნიერს ნობელის პრემიაც მინიჭებოდა.

დასძინა ისიც, რომ ამ ახალ ტომში სამი მონოგრაფიული ნაშრომი ეძღვნება თამარ მეფეს. წლევანდელი წელი ხომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის მიერ გამოცხადებულია ამ წმინდა მეფის წლად, და ღრმა კანონზომიერებამ გამოიწვია ის, რომ ეს ვეება წიგნიც შეიქმნა ამ სულიერი დღესასწაულის უშუალო მონაწილე.

და კიდევ: პავლე ინგოროყვამ — სხვა დიდ მკვლევართა მსგავსად — მხოლოდ ეტაპი კი არ შექმნა ქართულ ფილოლოგიურ და საისტორიო მეცნიერებათა განვითარებაში, არამედ იშვიათი სტილური ხელოვნების წყალობითა და აზროვნების თავისებურებით მისი სამეცნიერო მემკვიდრეობა ადვილი საკითხავია, შთამბეჭდავი და ექსპრესიული — ყველაზე ურთულესი საკითხებიც, გარეგნულად თითქოსდა წვრილმანი დეტალებიც მისაწვდომია ყოველი მკითხველისათვის, მითუმეტეს, რომ ჩვენი სულიერი სიმხნევისა, ეროვნული მეობის ვინაობისა და ხასიათის შეცნობისა და სახელმწიფოებრივი აზროვნებისათვის პავლე ინგოროყვას მეცნიერულ მემკვიდრეობას, მის „ქართული ცივილიზაციის ისტორიას“ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ და ამ შვიდტომეულის განახლების მოამაგემ დავით გალეგაშვილმა განაცხადა, რომ უკვე გამზადებულია გამოსაცემად VI ტომიც, რომელშიც გათვალისწინებულია მონოგრაფია „ხეთური იეროგლიფური დამწერლობა“, და VII-ც, რომელშიც თავმოყრილია მეცნიერული ნარკვევები, პუბლიცისტური და ესეისტური სტატიები, თარგმანები და კერძო წერილები, და, იმედია, ეს ყოველივე მალე დაამშვენებს ქართველი მკითხველის პირად ბიბლიოთეკებს.

მედიანიუსი

სამგლოვიარო განცხადებები

ოჯახის წევრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მამუკა ჯემალის ძე დიხამინჯია

პანაშვიდი: 17-18 მაისს, 18 საათზე. მისამართი: დიღმის მასივი, ჩაჩავას 6.

დაკრძალვა: 19 მაისს, 15 საათზე.

გამოსვენება ნაქულბაქევის წმ. გიორგის სახელობის დედათა მონასტრიდან. მისამართი: დიღომი 8. გრიგოლ ფერაძის ქუჩა, „კარფურის“ უკან.



შალვა რეხვიაშვილის გახსენება!

დადგა ცრემლიანი მაისი. ეს თვე შენი მოულოდნელი გარდაცვალების თვეა, რომელმაც შეგვზარა ახლობლები და მთელი სანათესაო. გავიდა მონატრებით და სევდით აღსავსე ერთი წელიწადი. ვერავინ ავსებს შენგან დატოვებულ სიცარიელეს. თვალცრემლიანი შევყურებთ შენს სურათს, გვეამაყები, რადგან ამქვეყნად ისე იცხოვრე, რომ კაცური კაცის სახელი დატოვე. ძალიან გვიჭირს წარსულში ლაპარაკი შენზე, ძალიან მწარეა აწმყო უშენოდ. შენ ხომ კაცური ღირსების გარეშე ერთი დღეც არ გიცხოვრია, თესავდი უსაზღვრო სიყვარულს. მადლობას ვუხდით უფალს, რომ შენ ჩვენ გვერდით იცხოვრე.

ყოველი დღე შენზე ფიქრით იწყება და სრულდება. შენ ორჯერ 66 წელი უნდა გეცხოვრა, რომ შენი ადამიანობით გარშემომყოფთათვის სიყვარული და სიხარული გეთესა.

შენთან ურთიერთობა ყველას უხაროდა, შენ ხომ ადამიანობისა და წესიერების ეტალონი იყავი. შენი ცოლ-შვილი ვცდილობთ, შენდამი პატივისცემა გამოვხატოთ ეკლესიაში ლოცვით, შენი საფლავის მოვლით, სანთელ-საკმეველი არ მოგაკლოთ.

იძინე მშვიდად, ჩემო მარად ცოცხალო, საამაყო და პატივსაცემო მეუღლევ, მამავ, და ბაბუავ.

გულისტკივილით გიგონებენ ახლობლები, მეგობრები, მეზობლები.

შენზე უსაზღვროდ მონატრებული მეუღლე, შვილები და შვილიშვილები

ანზორ მაჩაიძე, გურამ მესხი, ომარ კვირიკაძე, ელისო ადამია, რუსუდან ბარნოვი, სოსო კვიციანი ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან

ანზორ ხომერიკის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ ლუიზა ნარიმანაშვილს მეუღლის დაკარგვის გამო.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

TV პროგრამა

პარასკევი 17 მაისი

06.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.50 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ (პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ (პ/ე) 15.00 ტ/სერ „ნიკოლა ლე ფლოკი„ 17.00 დ/ფ „სამხედრო საზღვაო ავიაცია„ 18.00 „პეპე და მეგობრები„ 19.05 ტ/სერ „სიყვარული შიშით„ 21.00 ტ/სერ „ნიკოლა ლე ფლოკი„ 22.00 „აქცენტები„ 23.30 „წითელი ზონა„ 00.30 მხ/ფ „სიტყვა„ (ტიტ.)

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე) 09.00, 18.00, 20.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 საქართველოს პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია (პ/ტ) 19.00 ტ/სერ. „საიდუმლო გამოძიებანი„ 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „დაუვიწყარი„ 11.20 სერ. „მაფიის ძვრივი„ 12.30 იმედის დღე (პ/ე) 14.40 ახალი საბავშვო ხმა (გ/ჩ) 17.50 სერ. „მაგნატები„ 8 სერ. 18.50 სერ. „აპრძალული სიყვარული„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 თოქ შოუ – ლია ეთერი (პ/ე) 00.15 მხ/ფ „ფარული მუძარა„ 01.55 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მმვეინერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 ეკი ვოკი (გ/ჩ) 17.00 სერ. „ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ „ერთგულების ძალა„ 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია 23.00 ვანოს შოუ 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი კლიპები

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.35 მხ/ფ „ოძროს ოგობა„ III სერ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 მოკ/ფ „ენო„ 11.00 ქრისტე აღსდგა, საქართველო (გვილოცავს ხევი) 11.25 ეთნოგრაფია 11.40 ქრისტიანული სწავლება 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ „მონანიება„ I ნაწ. 13.25 კონცერტი - რიჩარდ კლაიდერმანი 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმი 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დეკორატიული ფლორა 15.45 მოკ/ფ „ბეღურების გადაფრენა„ 16.40 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 17.05 საუბრები ლიტერატურაზე 17.35 მოკ/ფ „წყრომა„ 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.35 ფოტოგალერეა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „მონანიება„ II ნაწ. 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ლექსით ქებათა ქება 21.30 მოგზაურობა სამშობლოში 22.25 ქრისტიანული ხელოვნება 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 მოკ/ფ „სერენადა„ 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 კვირიაკე 02.00 ჩვენი ბიბლიოთეკა

მაესტრო 7.00, 1.00, 4.30, 6.30 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმი 8.00, 9.00, 10.00 ახალი ამბები 8.10, 9.15, 10.15 მაღვიძარა 11.00, 12.45, 14.30, 17.00, 22.20, 0.30 მაგთიფანი 11.30 აბები (გამ.) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.00, 5.00 თავისუფალი დრო 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.00 პრესკლუბი 16.30 „მონიტორის/ჟურნალისტური გამოძიება (გამ.) 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 18.05, 2.00 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ 19.00 სერიალი „სიყვარული და სასჯელი„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.30 „ყოველდღიური აბები„ 23.00, 3.00 თოქ—შოუ - „პოლიტმეტრი„

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

17 მაისი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

- აშშ დოლარი — 1,639
- ევრო — 2,1089
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,4941
- 100 რუსული რუბლი — 5,2151

ამინდის პროგნოზი 17 მაისისთვის

25 აპრილიდან „ახალ თაობასთან“ ერთად

მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

ტომი 2

ჩეხური ზღაპრები

უკვე გამოსულია:

ტომი 1. ამერიკული ზღაპრები

გამოსაცემად მზადდება:

ტომი 3. ბრაზილიური ზღაპრები

ტომი 4. ფრანგული ზღაპრები

ასტროპროგნოზი 17 მაისისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

წარმატებული დღეა

ვერძი – ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ, არ გადაიღალოთ. **კურო** – ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **ტყუპები** – არ აყვეთ პროვოკაციას, იმიჯი შეინარჩუნეთ. **კირჩხიბი** – ბევრს ითმენთ, ცოტაც და გაგიმართლებთ. **ლომი** – მალე გამოჯანსაღდებით, თქვენ გჯეროდათ ამისი. **ქალწული** – რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **სასწორი** – ნუ მიეცემით სევდას, თავზე იმუშავეთ. **ღრიანკალი** – მშვენიერი დღეა, ყველა საქმე გამოგდით. **მშვილდოსანი** – დაისვენეთ მყუდრო გარემოში, არ გადაიღალოთ. **თხის რქა** – ფული გაქვთ, პრობლემები – არა. **მერწყული** – ზედმეტი აქტიურობა არ არის საჭირო. **თევზები** – მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ა

შვეულად: 1. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი კორეული გემთმშენებელი კომპანია; 2. კანის ანთებითი დაავადება; 3. ხის ზედა განტოტვილი ნაწილი; 5. უდაბნო ჩინეთსა და მონღოლეთში; 6. ჩაის ფოთლის დამგრეხი მანქანა; 8. ბოშათა წინამძღოლი; 11. სასტუმრო „თბილისი მერიოტის“ ძველი სახელწოდება; 13. ყურძნის შაქარი; 14. ქართველი მევიოლინე ქალი; 15. ფრანგული კომედიური თეატრის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი; 19. ვენეციის და გენუის რესპუბლიკების მმართველთა ტიტული.

თარაზულად: 1. აზერბაიჯანული ოპერის ფუძემდებელი კომპოზიტორი; 4. ქართული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 7. ოპერა „დაისის“ პერსონაჟი; 9. სახელგანთქმული ექიმის ძველებური სახელწოდება; 10. მუსლიმანთა სულიერი წინამძღოლი, მოძღვარი; 12. ჯეიმს ბონდის როლის შემსრულებელი ბრიტანელი მსახიობი მამაკაცი; 16. სამონასტრო კომპლექსი ქარელის რაიონში; 17. პირობითი ნიშანი გეოგრაფიულ რუკაზე; 18. ვიქტორ ჰიუგოს „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“-ს პერსონაჟი; 20 დაჩეჩილი მატყლი, წმინდა შალის ქსოვილის დასამზადებლად; 21. აბრეშუმის ჭია; 22. კომედიური ჟანრის მუსიკალური ნაწარმოები.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა



მალე!!! „ახალ თაობასთან“ ერთად

პატრიარქები

ბეთლემის უბნის ფესტივალზე მოგზაური საკვები გამოიფინება



ეკა ირემაშვილი

17 მაისს ბეთლემის უბანი ფესტივალს აღნიშნავს. როგორც იკომოს საქართველოს წარმომადგენლობა აღნიშნავს, ბეთლემის უბანი თბილისის ერთ-ერთი ყველაზე ისტორიული ნაწილია, სადაც სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები ცხოვრობდნენ საუკუნეების მანძილზე. ბეთლემის უბნის რევიტალიზაციას ორგანიზება გაუწია იკომოს საქართველომ ადგილობრივ თემთან თანამშრომლობით. პროექტი „მოგზაური საკვები. ბეთლემის უბნის ისტორიები“ ეხება ადამიანთა ჯგუფების გადაადგილებას და „მიგრანტების“ ცხოვრებას დანახულს ხელოვნების კუთხით, მათი ისტორიების, წეს-ჩვეულებების, ტრადიციების და პირადი სივრცის საჯაროდ წარმოჩენას.

– პროექტის განმავლობაში ჩვენ ვმუშაობდით სამ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელ ოჯახთან, რომელიც ბეთლემის უბანში წლებია ცხოვრობს – ბერძენი, სომეხი და ებრაელი ოჯახები. მიღებული და ფართოდ გავრცელებული აზრია, რომ თბილისი ოდითგანვე მულტიკულტურული იყო და სხვადასხვა ეროვნებების თუ ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები ცხოვრობდნენ აქ. ეს შეიძლება „ტრადიციულ ჯგუფებს“ ეხებოდეს, ხოლო ბოლო დროს მომხდარი ცვლილებები ისტორიაში, პოლიტიკური განვითარება და გენტრიფიკაციის პროცესები ამ ჯგუფების ქალაქის გარეუბნებში განსახლებებზე მიგვითითებს. მაგალითად, აქ ქურთები საერთოდ გაუჩინარდნენ პირვანდელი ადგილსამყოფელიდან, – აღნიშნავს იკომოს საქართველოს წარმომადგენელი ნატო ცინცაბაძე.

მისივე თქმით, ამ პროექტში უმნიშვნელოვანესია საკვები, ამიტომაც ეწოდება პროექტს „მოგზაური საკვები. ბეთლემის უბნის ისტორიები“.

– საკვები ყოველთვის მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადამიანის იდენტობის განაგრძელება მე-10 გვერდზე

ბელა ხოტენაშვილი გრან-პრის გამარჯვებულია

ქართველი მოჭადრაკე, ბელა ხოტენაშვილი, 2013-14 წლების საჭადრაკო გრან-პრის გათამაშების სერიის პირველი ტურნირის გამარჯვებული გახდა. ხოტენაშვილმა 11 შესაძლებლიდან 8 ქულა მოაგროვა და საუკეთესოს ტიტული მოიპოვა. შვეიცარიის ქალაქ ჟენევაში მიმდინარე პრესტიჟული ტურნირის დასკვნითი ტურის წინ ხოტენაშვილს 7.5 ქულა ჰქონდა, გრან-პრის ერთპიროვნულად ლიდერობდა.

ნახევარი ქულით უსწრებდა უახლოეს მდევარს ანა მუზიჩუკს. ბოლო ტურში მუზიჩუკი ალექსანდრა კოსტენიუკს დაუზავდა, ქართველთა ლიდერი კი ასევე ყაიმზე შეუთანხმდა ანა უშენინას.

კიდევ ერთი ქართველი მოჭადრაკე ნანა ძაგნიძე კი მესამე ადგილს დასჯერდა.

თითოეულმა მოჭადრაკემ საჭადრაკო გრან-პრის ოთხ-ოთხ ტურნირში უნდა მიიღოს მონაწილეობა, საერთო ჩათვლაში კი მათ მიერ ნაჩვენები სამი საუკეთესო შედეგი შეევა. აღსანიშნავია, რომ მე-5 ეტაპს თბილისი უმასპინძლებს – 2014 წელს, 18 ივნისიდან 2 ივლისის ჩათვლით.

გრან-პრი სულ ექვსი ეტაპისგან შედგება. თითოეული ეტაპისთვის 60.000 ევროა გამოყოფილი, რომელიც შემდეგი თანმიმდევრობით განაწილდება: პირველი ადგილი – 10.000 ევრო (160 ქულა), მე-2 – 8.250 (130), მე-3 – 6.750 (120), მე-4 – 5.750 (90), მე-5 – 5.000 (80), მე-6 – 4.500 (70), მე-7 – 4.250 (60), მე-8 – 4.000 (50), მე-9 – 3.250 (40), მე-10 – 3.000 (30), მე-11 – 2.750 (20), მე-12 – 2.500 (10).

გრან-პრის გამარჯვებული 2015 წელს პლანეტის საუკეთესო მოჭადრაკის ტიტულისთვის ითამაშებს.

მ. ჟ.

„ა სტუდიო“ თბილისში კონცერტს გამართავს

ეკა ირემაშვილი

11 ივნისს ჯგუფი „ა სტუდიო“ და მისი ქართველი სოლისტი ქეთა თოფურია თბილისში კონცერტს გამართავს. კონცერტის ორგანიზატორია კომპანია „ივენთ 404“, თუმცა „ა სტუდიოს“ საქართველოში ჩამოყვანაში მათ პროდიუსერი ნატო დუმბაძე ეხმარება. ის „ა სტუდიოს“ ოფიციალური წარმომადგენელია საქართველოში. რა ეღირება „ა სტუდიოს“ კონცერტზე დასასწრები ბილეთი, ჯერჯერობით უცნობია.

„ა სტუდიო“ უკვე 25 წლისაა და მთელი ამ ხნის განმავლობაში პოპულარობა არ დაუკარგავს. ჯგუფის წევრებს თითქმის ჰაერში უწევთ ცხოვრება, რადგან საკმაოდ გადატვირთული საგასტროლო გრაფიკი აქვთ და, შესაბამისად, მათი შრომაც სხვადასხვა ჯილდოებითა და პრემიებით ფასდება.

წელს ჯგუფი წარდგენილია რუსულ შოუბიზნესში ერთ-ერთ გამორჩეულ დაჯილდოების ცერემონიალზე „მუზ ტივი 2013“ ორ უმთავრეს ნომინაციაში – „საუკეთესო პოპ ჯგუფი“ და „საუკეთე-

გაგრძელება მე-10 გვერდზე